ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა" + „ფრანკო" — 8 ლარი 4-დან 18 აპრილამდე




პარასკევი, 8 აპრილი, 2011 №83 (5464) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილმა კანონი თუ არ შეცვალა, ქვეყანა დაინგრევა

გვ.3



## რატომ იყო ალასანია ამერიკაში

## სახალხო კრებამ თავის რიგებში კუდის აგენტები გამოავლინა

გვ.2





## ეს ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ შეცვლის

გვ.2



## ანტიბიოტიკები საშიში ხდება

გვ.6



## ხელისუფლება საპროტესტო ტალღას ელოდება

გვ.4



## სააკაშვილი რომ ისევ პრეზიდენტია, ჩვენი ბრალია

ხელისუფლების რეპრესიის ქვეშ ვიმყოფებით

გვ.5



## ბაღაფში თურქეთში გაემგზავრა

გვ.6

## სააკაშვილი ქვეყანას ტერორისტული მეთოდებით მართავს

გვ.7



## ნატო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას გვირჩევს

გვ.4



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 გიგი უგულავამ და საფრანგეთის ელჩმა ფრანგული ინსტიტუტი გახსნეს

6 მედვედევმა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან უვიზო მიმოსვლის შესახებ კანონს ხელი მოაწერა

8 „მართველ" ვარსკვლავს გაუხსნიან

11 *ნიკოლოზ ცქიტიშვილი:* „საბერძნეთი პირველად მესმის, ამ სეზონს უგუნდოდ ჩავამთავრებ"

# ეს ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ შეცვლის

**რადიკალური ოპოზიცია მაისის დასაწყისში საპროტესტო აქციებისთვის ემზადება. ოპოზიციის ეს ნაწილი კონკრეტულ თარიღს ჯერ არ ასახელებს, თუ როდის დაიწყებს საპროტესტო მუხტის აწევას.**

ნანა მიშელაშვილი

წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, ოპოზიცია რაიმე თარიღის დაანონსებას ერიდება, თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა აქტიურად მიდის. აქციების დაწყების სავარაუდო თარიღად 2 მაისი სახელდება.

ოპოზიციის ერთი ნაწილი მეორეზე იმდენად გაბრაზებულია, რომ მათი ერთად ხილვა ამ ეტაპზე ცოტა ძნელი წარმოსადგენია, თუმცა, პოლიტიკა მოულოდნელობებით არის სავსე. შესაძლოა, ქუჩაში ერთმანეთის გვერდით ამჟამად მწვავედ დაპირისპირებული ძალებიც ვიხილოთ.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები რადიკალებს არ შეუერთდებიან. რადიკალებს საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერის იმედი არც აქამდე ჰქონდათ და არც ამის შემდეგ ექნებათ.

რის მიღწევას ცდილობენ რადიკალები და რა პროცესები დაიწყება ცოტა ხანში? ამ საკითხზე „ახალი თაობა“ საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის წევრების მოსაზრებით დაინტერესდა.

რისთვის ემზადება ოპოზიცია?

უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერი **გოკა გაბაშვილი:**

— ვერანაირ პასუხს ვერ გაგცემთ, რისთვის ემზადება ოპოზიცია, რას გეგმავენ. ალბათ, ამაზე ისინი ისაუბრებენ. ჩვენ ჩვენი გეგმები გვაქვს. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანების მთავარი პრობლემაა მაღალი ფასები ისეთ პროდუქტებზე, როგორებიც არის პური, შაქარი, ზეთი. მთავარი პრობლემა დასაქმებაა. თუ ვინმეს სხვა გეგმა აქვს და ჰგონია, რომ სამოქალაქო დაპირისპირების სცენარი საუკეთესო ვარიანტია ქვეყნის პრობლემების მოგვარებისა, ეს მათი გადასაწყვეტია, მით უმეტეს, გარკვეული ნაწილი ღიად და დაუფარავად თანამშრომლობს ქვეყნის მტერთან და არ ერიდება მათთან ერთად აღლუმებზე დგომას. ამ ადამიანების გეგმებზე ვერაფერს გეტყვით, რაზე საუბრობენ მოსკოვში „მაღალი“ ვიზიტების დროს, მაშინ როცა ხელს ართმევენ საქართველოს მთავარ მტერს და რა გეგმებს აწყობენ, ეს არ ვიცი. ამ ადამიანებს მინიმალური მხარდაჭერა აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არა აქვთ მხარდაჭერა. ხელისუფლება ყველა ნორმალურ ქვეყანაში იცვლება ან ინარჩუნებს ძალაუფლებას არჩევნების შედეგად. ასე იქნება საქართველოშიც. ამ ქვეყანაში მმართველი ძალა შენარჩუნდება, თუ 2012 წელს არჩევნებს მოიგებს და შეიცვლება, თუ არჩევნებს წააგებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა არჩევნები მოვიგოთ, იმიტომ რომ ჩვენი განვითარების გზა სწორია. ისე არ გაიგოთ, თითქოს პოლიტიკური აქტიურობის რომელიმე ფორმას გამოვრიცხავ. ქუჩის აქციაც გამიგია კანონის ფარგლებში, დემონსტრაციაც და პიკეტირებაც. ეს არის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში დაშვებული ფორმა, თუ ის არ არღვევს კანონს. თუ ის კანონს არღვევს, სხვა ადამიანის უფლებებს ლახავს და ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ ნორმებს, მაშინ სახელმწიფოს პასუხი აქვს ასეთ აქციებზე. თუ არ ეწინააღმდეგება, ბუნებრივია, ხელისუფლება იმისთვის არის, რომ თავისი მოქალაქეების აზრი, როგორი ჯგუფიც არ უნდა იყოს — პატარა, დიდი, საშუალო, მოისმინოს, ან გაითვალისწინოს და ან — არა. ეს ჩვეულებრივი პროცესია დემოკრატიაში. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ძალისმიერი და ძალადობრივი აქციებით საქართველოში სიტუაციას შეცვლის, ვერ შეცვლის, იმიტომ რომ ასეთი მოქმედებების მხარდაჭერა საქართველოში ძალიან დაბალია. რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ სიკეთით გამსჭვალული არ არის. ყველამ კარგად ვიცით, რუსეთი ყოველთვის შეეცდება, ყველაფერი გააკეთოს საქართველოს წინააღმდეგ, დაწყებული ღია ტერორითა და ტერორისტული აქტებით, რასაც ისინი ოკუპირებული ტერიტორიებიდან აგენტურის საშუალებით ახორციელებენ და გეგმავენ, რაც ბოლო დროს არაერთხელ ვნახეთ. თუმცა, საქართველოში მათი დასაყრდენი ძალები არც ისე პოპულარულია. ქართველებს არ მოსწონთ, როდესაც შენი ქვეყნის მტერთან მიდიხარ და „პაკლონაია გორაზე“ მათთან ერთად იყინები ან იბარებ იმ ჯარის აღლუმს, რომელიც შენს ქვეყანას ბომბავდა. ეს ქართველებს ძალიან არ მოსწონთ. თუ კრემლთან დაახლოებულ ქართულ პოლიტიკურ ძალებს ჰგონიათ, რომ ქართველებს თავმოყვარეობა არა აქვთ, ძალიან ცდებიან.





რამდენად არის მოსალოდნელი ქუჩის აქციების დაწყება და რას მოიტანს ოპოზიციის ნაწილის გააქტიურება? შეუერთდებიან თუ არა ქრისტიან-დემოკრატები რადიკალებს?

ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარე **გიორგი ახვლედიანი:**

— ქრისტიან-დემოკრატებს ჩამოყალიბებული ხედვა გვაქვს და ვთვლით, რომ თუ რაიმე უბედურება სჭირს ქვეყანას, თუ რაიმე პრობლემები გვაქვს ადამიანის უფლებების, სასამართლოს, მედიის, დემოკრატიის თვალსაზრისით, ეს ყველაფერი იმის შედეგია, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა. ეს არის რევოლუციური განვითარების შედეგი. ეს არის რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ერთპარტიული, მონოპოლისტური პოლიტიკური ძალის შედეგი, რომელიც მაქსიმალური ძალაუფლების მქონეა. ქვეყნის ყველა რევოლუციური განვითარება აბსოლუტურად იმავეს მოიტანს. რევოლუციური განვითარება მოიტანს ისევ ახალ მონოპოლიზმს, ახალ უზურპაციას, ყველა ღირებულების დაკნინებას. ასე რომ, ამ მიმართულებით არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება ქუჩის აქციებს, ჩვენ ვთვლით, რომ გარედან და ქუჩიდან ხელისუფლების ცვლილების ბერკეტები დღეს არ არსებობს, რომც არსებობდეს, არ მივესალმებით ასეთი ფორმატით ხელისუფლების ცვლილებას. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ერთხელ და სამუდამოდ ცივილიზებული საარჩევნო გზით. ეს ტრადიცია უნდა დამკვიდრდეს საქართველოში. ჩვენ არ ვართ რადიკალური ოპოზიცია, ჩვენ არ ვთვლით რადიკალიზმს ქვეყნის განვითარების გზად. ჩვენ ვართ თანმიმდევრულები და არასოდეს აქეთ-იქით არ გვიხტუნავია. ქუჩის აქციები ამ შემთხვევაში ძალიან სერიოზული საფრთხის მატარებელია, ქუჩის აქცია, რომელიც არაფრით სრულდება. ჯერჯერობით არანაირი განვითარების გეგმა და სტრატეგია, ვინ რას აპირებს, არც კულუარული თვალსაზრისით მოგვისმენია და არც ღიად. შესაბამისად, ძალიან დიდი პერსპექტივაა, რომ ყველაფერი დასრულდეს ისევ ისე, როგორც არაერთხელ დასრულებულა — საზოგადოების დიდი იმედგაცრუებით, რაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელისუფლებას აძლიერებს. 2009 წლის აპრილში ხელისუფლების რეიტინგი თბილისში დასული იყო 15-16 პროცენტზე. როდესაც ყველაფერი საზოგადოების იმედგაცრუებით დასრულდა, 2009 წლის ნოემბერში ხელისუფლების რეიტინგი 35 პროცენტს ასცდა. ადგილობრივი არჩევნების წინ მთელი ამომრჩეველთა რაოდენობის 27% უჭერდა მხარს ნაციონალურ მოძრაობას. ადგილობრივ არჩევნებზე მთელი ამომრჩევლის 50% მივიდა. შესაბამისად, ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ამომრჩეველი, ანუ 27% პირწმინდად მიიყვანა საარჩევნო უბნებზე, იმედგაცრუებული და ნიჰილიზმში ჩავარდნილი ოპოზიციის ამომრჩეველი კი სახლში დარჩა. ეს მივიღეთ იმედგაცრუების შედეგად. ის ამომრჩეველი, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი, იმედგაცრუებული კი არ უნდა გვყავდეს, არამედ, უნდა ავუხსნათ, რომ მისი არჩევნებში მისვლა ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. თუ ამას ყველანი ერთად გავაკეთებთ, უკეთეს შედეგს მივიღებთ. თუ ადამიანებში დიდ იმედგაცრუებას გამოვიწვევთ, საპარლამენტო არჩევნებზეც კატასტროფულ რეალობას მივიღებთ.

# სახალხო კრებამ თავის რიგებში კუდის აგენტები გამოავლინა

**მშობლიური შსს-ს ათასი ყური და ათასი თვალი რომ აქვს, ყველამ კარგად იცის. ეს ამბავი ყველაზე უკეთ ჩვენს ოპოზიციას მოეხსენება. ყველა ფაქტია იმის მტკიცებაშია, რომ ვანოს უწყებას მათ რიგებში რამდენიმე კაცი (შეიძლება ქალიც) ჰყავს შეგზავნილი.**

თეა მარხვაი ე

ამ განცხადებების მიუხედავად კონკრეტული აგენტები არავის გამოუვლენია. ამ მიზეზით მხოლოდ ორმა პარტიამ დაიწიოკა თავისი რამდენიმე წევრი.

ბოლო პერიოდში სახალხო კრება ძალიან გააქტიურდა. კრების წარმომადგენლები ხშირად ამბობდნენ, რომ ისინი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ.

საგაზეთო ინტერვიუებში თუ კერძო საუბრებში კრების წევრები ხშირად ამბობდნენ, რომ ხელისუფლებას მათ რიგებში შესაძლოა აგენტებიც ჰყავდეს შეგზავნილი.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა. ბათიაშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ საკუთარ რიგებში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აგენტები აღმოაჩინა.

— მას შემდეგ, რაც სახალხო კრებამ აქტიური მოქმედებების შესახებ გეგმები გაახმაურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო გააქტიურდა და მათ რიგებში აგენტების შეგზავნა დაიწყო, — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნული ქმედების მიზანია სახალხო კრების წევრების რაოდენობის ცოდნა, ასევე განხეთქილების დათესვა კრების რიგებში და პროვოკაციის მოწყობა, რათა სახალხო კრების იდეა ვერ განხორციელდეს.

სახალხო კრების ერთ-ერთმა ლიდერმა აგენტებთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითიც დაასახელა. აგენტები კრებამ სკაიპის წყალობით გამოავლინეს.

ირაკლი ბათიაშვილმა წარმოადგინა სკაიპში ორ პიროვნებას შორის საუბარი. ამ საუბარს ბათიაშვილის თქმით, ვაკისა და გლდანის წინააღმდეგობის კომიტეტების წევრები აწარმობენ.



სკაიპში საუბრისას ეს ბიჭები სახალხო კრებას ისინი უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებენ და „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით აგინებენ. ეს პიროვნებები არიან ლაშა ამირიძე და ალექსი ასათიანი.

— მათი საუბრის შედეგად გამოვლინდა მათი თანამშრომლობა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან, მინდა ვთქვა, რომ ეს არის ძალიან უნიჭო ნამუშევარი. სახალხო კრება არის საზოგადოებრივი ინსტიტუტი და ნებისმიერი მსგავსი ქმედება საზოგადოებრივი ინსტიტუტის წინააღმდეგ არის აბსოლუტურად კანონგარეშე, — განაცხადა ბათიაშვილმა.

ამ ადამიანებს სახალხო კრება უკვე დაატოვებინეს. თუმცა, მანამდე ისინი კრების საბჭოში დაიბარეს. სადაც ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს. თუმცა, როგორც ბათიაშვილი ამბობს, ლაშა ამირიძემ და ალექსი ასათიანმა თავის გამართლება ვერ მოახერხეს.

# მოქალაქე თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს უკანონობაში ადანაშაულებს

10 000 ლარიანი ჯარიმის დაკისრების გამო, ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები ვიოლეტა ჯუმშულოვი თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს უკანონობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მერია მისგან 25 წლის წინათ აშენებული საცხოვრებელი ფართის მოშლას მოითხოვს.

როგორც ბურის შესახვევის 11-ში მცხოვრები დაზარალებული განმარტავს, ზედამხედველობის სამსახურთან პრობლემა მას შემდეგ შეექმნა, რაც შარშან, ავარიული ლოჯიის ერთ-ერთი კედლის კაპიტალურად გასამაგრებლად მან ძველ საძირკველზე ახალი კედლის ამოყვანა მოისურვა.

— 22 თებერვალს მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან მოვიდნენ თაბაზ ახობაძე და მისი ჯგუფის წევრები და სიტყვიერი გართხილება მომცეს. მოითხოვეს, რომ არა მხოლოდ ამოყვანილი კედელი, ის იატაკიც მოვანგრიო, რაზედაც კედლებია ამოყვანილი, ასევე მოითხოვენ მოვშალო საყრდელი ბოძები, რასაც სახურავი უკავიას, — აცხადებს ვიოლეტა ჯუმშულოვი.

იმ შემთხვევაში, თუ ბურის შესახვევ 11-ში მცხოვრები ვიოლეტა ჯუმშულოვი 10 000 ლარიან ჯარიმას ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხდის, ვადების დარღვევის შემთხვევაში მას საჯარიმო თანხა გაუსამმაგსდება. დაზარალებული შიშობს, რომ იგი უსახლკაროდ დარჩება. დახმარებისათვის მან „სახალხო კრების“ ჩუღურეთის რაიონის წინააღმდეგობის კომიტეტს მიმართა. როგორც სახალხო კრების ჩუღურეთის რაიონის პრესსამსახურში აცხადებენ, აღნიშნულ საქმეს იურისტები ეცნობიან და უსამართლობის შემთხვევაში შესაბამის იურიდიულ დახმარებას გაუწევენ. პირველ ეტაპზე კი სახლის 1987 წლის ორთოგრაფიული ფოტო ამოიღეს, სადაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ლოჯი ახალი აშენებული არ არის.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილმა კანონი თუ არ შეცვალა, ქვეყანა დაინგრევა

ქეთი ხომერიკი

## ინტერვიუ „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიასთან

***— საპარლამენტო უმრავლესობამ „ოპოზიციური რვიანის“ მიერ შეთავაზებულ წინადადებებს აბსურდული უწოდა და განაცხადა, რომ ამ აბსურდის განხილვას არ აპირებს, ნიშნავს თუ არა მათი პასუხი პროცესის დასრულებას, ხელისუფლებამ მოლაპარაკებები დაასრულა, ბატონო ირაკლი?***

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოლაპარაკებების პროცესი დაასრულა თუ არა, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ჩვენი დამატებითი შეთავაზებები ნამდვილად ტოვებდა იმის სივრცეს, რომ შეთანხმება შემდგარიყო, თუმცა, მოლაპარაკების მაგიდაზე შეიძლება სხვა მოსაზრებებიც გაჩნდეს. იცით, არ მგონია, რომ მოლაპარაკებების დასრულება მმართველი გუნდის ინტერესებში შედიოდეს.

***— თქვენი აზრით, მმართველი გუნდის ინტერესებში მოლაპარაკებების გაგრძელება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება შედის?***

— დიახ, არ მგონია, რომ მოლაპარაკებების დასრულება ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს, რადგან ვთვლი, რომ გონიერი ადამიანები „ნაციონალური მოძრაობის“ მხარესაც არიან. ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, რომ თუკი მოლაპარაკების სივრცე ჩაიკეტება, მაშინ პროცესები ბუნებრივად რადიკალიზაციისკენ წავა, რაც ქვეყანას მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანს. ვფიქრობ, რომ მმართველი გუნდის ეს განცხადება პროცესის დასრულებას არ ნიშნავს, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ეს მოლაპარაკებებიც დასრულდეს. მოდით, ჩვენ, ჯერ ნაადრევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ.

***— თქვენ პროცესების რადიკალიზაცია ახსენეთ, ხელისუფლებაზე შეტევას, ვგულისხმობ, „ნაციონალების“ იძულებას იმაზედ, რომ რაიმე ტიპის დათმობებზე წამოვიდნენ ქუჩიდან ხომ არ აპირებთ?***

— აქ არ არის საუბარი ჩვენზე, ზოგადად, როცა დიალოგის და პოლიტიკურად ცვლილების მიღწევის სივრცე იხურება, მაშინ ყველაფერი მიდის პრულურიზაციისკენ ქუჩაში. ეს მოვლენები ვითარდება აფრიკაშიც, რადგან იქ საზოგადოებას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ხელისუფლება სხვა გზით შეეცვალა.

***— რაც შეეხება „ოპოზიციურ რვიანს“, ხომ არ ვიხილავთ მას ქუჩაში, ანუ „რვიანი“ ხელისუფლებას საპროტესტო აქციების გზით ხომ არ შეუტევს?***

— ქუჩა და ის, რომ მხოლოდ ქუჩის აქციები იყოს ჩვენს ინსტრუმენტში აუცილებლობას ნამდვილად, არ წარმოადგენს. ჩვენ ვაპირებთ, რომ ამ პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა ავამაღლოთ. ანუ ჩვენ ვიქნებით რეგიონებში, ქალაქებში, სოფლებში და ავუხსნით საზოგადოებას იმას, თუ რას ართმევს სააკაშვილი მათ, როდესაც საარჩევნო დემოკრატიულ გარემოს არ თმობს. ასევე ავუხსნით იმას, თუ როგორი წარმომადგენლობები გვინდა, რომ ჰყავდეს რეგიონებს პარლამენტში. სააკაშვილმა მედია ისტერიკა ატეხა იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენ საპარლამენტო პროცესში რეგიონების თანამონაწილეობა არ გვსურს, არადა, პირიქითაა. ჩვენ გვინდა, რომ მათი წარმომადგენლობა გაიზარდოს. საზოგადოებრივი აზრის მომწიფება ნიშნავს საზოგადოების ამ პროცესში ჩართვას. თუ საჭირო გახდა ერთგვარად ზეწოლაც კი უნდა მოვახდინოთ ხელისუფლებაზე, ანუ უნდა დავანახოთ მათ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მათ არ ეთანხმება და საარჩევნო ცვლილებებს მასშტაბურად ითხოვს.

***— არადა, პეტრე ცისკარიშვილის თქმით, რვიანის განცხადებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ პარტიებს არ აქვთ ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედი, ამომრჩევლის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება და საარჩევნო კოდექსის საკუთარ ვიწროპარტიულ ინტერესებზე მორგება სურს, ამაზე რას იტყვით, რამდენად ადეკვატურია ხელისუფლება?***

— მათ არგუმენტებს არ ვიზიარებ. მათი არგუმენტები რეალობას აცდენილია, დაწყებული იქიდან, რომ ამომრჩეველთა სიების ბიომეტრიული წესით დადგენა არ შეუძლიათ, მაშინ, როდესაც ინდოეთში 200 მილიონი ადამიანი ბიომეტრიული წესით 11 თვეში დარეგისტრირდა. ეს არის მედია და პიარისტერიკა, რომელიც სააკაშვილმა დაიწყო და დარწმუნებული ვარ, რომ მისი ისტერიკა ფუჭად ჩაივლის, რადგან საზოგადოებამ ასევე მშვენივრად იცის, რომ თუნდაც ის მაჟორიტარული წარმომადგენლები, რომლებიც დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ დეპუტატების სახით ჰყავს რეგიონის პრობლემატიკით საერთოდ არ ინტერესდებიან. აშკარაა, რომ დღეს, სააკაშვილის მხრიდან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პოლიტიკური ნება არ არსებობს, მაგრამ სწორედაც იმიტომ ვართ ჩვენ მოლაპარაკების პროცესში შესული, იმიტომ გვინდა საზოგადოების მობილიზება და საერთაშორისო თანამეგობრობაც იმიტომ გვყავს ამ პროცესში ჩართული, რომ მაქსიმალურად მისაღებ ფორმებზე შევთანხმდეთ. ხელისუფლებაზე ზეწოლა უნდა განხორციელდეს.




***— თქვენი თქმით, საერთაშორისო საზოგადოების პოზიციაა, რომ მოლაპარაკებები კონკრეტული შედეგით დასრულდეს და ქართველ ხალხს ჰქონდეს საშუალება ნორმალური არჩევნები გამართოს, თუ ეს ასე არ მოხდა, ამ შემთხვევაში რა პოზიციას დაიკავებს საერთაშორისო საზოგადოება?***

— თუკი ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება არ გამოაჩინა იმაზე, რომ შეთანხმება შედგეს, შეთანხმება, რომელიც უნდა იყოს ურთიერთკომპრომისული, რადგან მაქსიმალისტურ მიღწევას ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს, მაშინ, ბუნებრივია, ხელისუფლება უფრო მეტ იზოლაციაში მოექცევა. ამ პროცესის ჩაშლა მას დაბრალდება და არჩევნებს, რომელიც ოპოზიციასთან და საზოგადოებასთან შეთანხმებით არ იქნება ჩატარებული არც შიდა და არც გარე ლეგიტიმიზაცია არ ექნება.

***— რა უნდა რეალურად ხელისუფლებას, ბატონო ირაკლი?***

— ხელისუფლებას უნდა შეინარჩუნოს და ჰქონდეს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც მათ ხმების უმცირესი ნაწილით პარლამენტში უდიდეს წარმომადგენლობას მიაღებინებს. ისინი საპარლამენტო უმრავლესობის შენარჩუნებას ყველა ძალით და მეთოდით ცდილობენ. მაგრამ აქვე ვამბობ, რომ ხელისუფლების გონიერ ნაწილში ნამდვილად არის იმის განცდა, რომ თუ ჩვენ ურთიერთკომპრომისების გზებით არ ვივლით, სიტუაცია ქვეყნისთვის უმძიმესი სცენარით განვითარდება. ამიტომ მე მოლაპარაკებებში ჩართული ადამიანების კეთილგონიერების იმედი მაქვს. თუ ერთმანეთისკენ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, ამ პროცესს წარმატებით ვერ დავასრულებთ.

***— „ნაციონალური მოძრაობის“ რომელი გონიერი წარმომადგენლის იმედი გაქვთ, მაშინ, როდესაც თქვენვე აღნიშნეთ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე სააკაშვილს პოლიტიკური ნება არ არსებობს, საბოლოოდ კი ხომ ყველაფერს პრეზიდენტი წყვეტს?***

— სააკაშვილი ამ პროცესის წინაპირობაა. გეთანხმებით, საბოლოოდ ყველაფერს სააკაშვილი წყვეტს, მაგრამ ასეთი წინალობები საბოლოო ჯამში პოლიტიკიდან მიდიან ხოლმე. პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნის წინსვლის, სამოქალაქო და პოლიტიკური თანხმობის მიღწევის წინალობაა, რა თქმა უნდა, ძალიან მალე წარსულს ჩაბარდება. მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა და არა სააკაშვილის კიდევ ერთხელ წარმოჩენა, როგორც პრობლემა და ბარიერი ქვეყნის განვითარებისა. ამის წარმოჩენა არაფერს რეალურს არ მაძლევს. მთავარია, საარჩევნო პროცესში სააკაშვილის მხრიდან გარკვეული ნაბიჯების დათმობა მოხდეს.

***— მაინც როგორ აპირებთ ამის მიღწევას, სააკაშვილს რაიმე ტიპის დათმობებზე როგორ წამოიყვანთ?***

— საზოგადოების მობილიზებით და საზოგადოებრივი აზრის შექმნით. მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ქუჩის მასშტაბურ მანიფესტაციებში ჩართვაც დაგვჭირდეს, რომ მას მასშტაბურობის განცდა გავუჩინოთ. ჩვენ მას ყველა ფრონტიდან შევუტევთ, რათა სააკაშვილის უპასუხიმგებლობას ჩვენი ქვეყნისადმი პასუხისმგებლობა დავუპირისპიროთ და დავანახოთ მას, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მისგან უკეთესი საარჩევნო გარემოს შექმნის პროცესში თანამონაწილეობას ითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ ფართომასშტაბიანი აქციების ჩატარება და საზოგადოებრივი აზრის შექმნა რთული არ არის, რადგან ხალხში ეს მოსაზრება მომწიფდა. რა თქმა უნდა, რადიკალიზმი არ არის ის, რაც საზოგადოებას სურს და ჩვენ ამ გზით არ უნდა წავიდეთ, მაგრამ ამ საკითხზე სამართლიანი და მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვა აუცილებელი იქნება.

***— ანუ „რვიანის“ შემდგომი ნაბიჯები ამ პროცესის ირგვლივ საზოგადოების მობილიზება, საზოგადოებრივი აზრის შექმნა და საჭიროების შემთხვევაში, ქუჩის მასშტაბური მანიფესტაციების გამართვა იქნება?***

— დიახ, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკების პროცესი მინიმუმ მაისამდე შენარჩუნდება.

***— სხვათა შორის, ხელისუფლება ამბობს, რომ მოლაპარაკებების ჩაშლა „ოპოზიციურ რვიანს“ სურს, გამორიცხავთ იმას, რომ პროცესის ჩაშლა საბოლოოდ თქვენ დაგბრალდეთ და ხელისუფლებამ ჯოხი თქვენზე გადატეხოს?***

— ეს მოსალოდნელიც იყო. ხელისუფლება ასეთ რამეს ვერ დაგვაბრალებს. ერთია მათი რიტორიკა და მეორეა ფაქტები. ფაქტები კი სულ სხვა რამეზე მეტყველებენ. საზოგადოებისთვის ნათელია, რომ ეს პროცესი ჩვენ დავიწყეთ და ხელისუფლებას დამატებითი ალტერნატიული წინადადებებიც ჩვენ შევთავაზეთ. ხელისუფლება კი ბრმის როლს თამაშობს, თითქოს ეს წინადადებები არც არსებობდეს.

***— რამდენად მოსალოდნელია, რომ „ოპოზიციურ რვიანს“ ნერვებმა უმტყუნოს და მოლაპარაკების მაგიდა დატოვოს, ან კუკავას მსგავსად „რვიანში“ შემავალმა რომელიმე პარტიამ ჩათვალოს, რომ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს და „რვიანს“ გამოაკლდეს, „რვიანი“ ხომ არ დაიშლება?***

— არა, ვთვლი, რომ ეს არის ნებისყოფის ტესტი. ეს ჩვენი პოლიტიკური წინდახედულობის გამოცდაა. მინდა აღვნიშნო, რომ რვიანი განსხვავებული იდეოლოგიის და პოლიტიკური ხედვების მიერ შედგენილი პოლიტიკური ჯგუფი წინდახედულობას და სიმტკიცეს ყოველთვის იჩენდა და ასევე გამოიჩენს და შეინარჩუნებს ბოლომდე.

***— რას აპირებთ მოლაპარაკებების დასრულების შემთხვევაში, ხომ არ გიხილავთ რადიკალების გვერდით აქციებზე, ბატონო ირაკლი?***

— თუ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არ მოხერხდება, ეს იქნება დამანგრეველი ქვეყნისთვის. დღეს რაც ხდება ჩრდილო აფრიკაში, გამოწვეულია იმით, რომ იქ საზოგადოებას ცვლილებების განხორციელების პოლიტიკური სივრცე არ დარჩა და ამბოხებისკენ წავიდა. დღეს ამის თავიდან აცილებაა საჭირო. და რაც მთავარია, საარჩევნო გარემოს შეცვლით ჩვენ სერიოზულ ფუნდამენტს ჩავუყრით ქვეყნის მომავალ განვითარებას, მათ შორის ჩვენს ევროკავშირში და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას. მე მწამს, რომ ქართულ პოლიტიკაში კეთილგონიერება გაიმარჯვებს.

***— და მაინც, თუ საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესდა, არსებული საარჩევნო კოდექსით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ, რას მივიღებთ ამ შემთხვევაში, რევოლუციას თუ არჩევნებს?***

— არც ერთს და არც მეორეს. ჩემი აზრით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მოვახერხებთ. მართალია, ვფიქრობ, რომ სააკაშვილის პირობებში იდეალური არჩევნები არ ჩატარდება, თუმცა, ეს იქნება ისეთი არჩევნები, სადაც კონკურენტუნარიანი გარემო შეიქმნება და ხელისუფლებას არჩევნების გზით შევცვლით და კიდევ ერთი, ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ მაისის ბოლოს საზოგადოებას ან შეთანხმებულ ახალ ვარიანტს წარვუდგენთ, ან ვეტყვით, რომ სააკაშვილის ნება იმაზე, რომ თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს, არ არსებობს და მოლაპარაკებები ამიტომაც არ შედგა. ჩვენ, საზოგადოების წინაშე ან ერთი, ან მეორე პასუხით მაისის ბოლოსთვის წარვდგებით.

***— ითქვა, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, საინტერესოა კონკრეტულად რა თანამდებობას უმიზნებს ის, თქვენ ხომ არ ფლობთ რაიმე ინფორმაციას ამის შესახებ?***

— ეს თავიდანვე ცხადი იყო. მთელი საკონსტიტუციო რეფორმა ხომ სააკაშვილს მოარგეს და შესაბამისად, ეს ვარიანტი მისი მხრიდან სერიოზულად განხილვადია. თუმცა, დამატებით ინფორმაციას ამ საკითხზე არ ვფლობ.

***— როგორ ფიქრობთ „სახალხო კრების“ მიერ დაანონსებული 2 მაისის მასშტაბური აქცია შედეგიანი იქნება და იმ შემთხვევაში, თუ აქციაზე უამრავი ადამიანი მივიდა დადგებით თუ არა „კრების“ გვერდით?***

— მათი აქცია იქნება თუ არა რაიმე შედეგის მომტანი არ ვიცი. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მათ შორის აქციის მიზნებზე, რასაც მე არ ვიცნობ, ამიტომ კომენტარს ვერ გავაკეთებ. არსებობს საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც თვლის, რომ ცვლილებების მიღწევა ამ გზითაა შესაძლებელი და მე ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენლის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა, ჩვენ მიერ არჩეული გზა საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება და არა მხოლოდ ხვალ და ზეგ რა იქნება იმას. ჩვენი გზა ქვეყანაში რევოლუციურად განვითარებულ მოვლენებს გამორიცხავს. ვთვლი, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილიც ქვეყანაში პროცესების განვითარების ჩვენეულ, ამ სცენარს ემხრობა.

***— თქვენ ახლახან აშშ იმყოფებოდით, მოდით, ამ ვიზიტზე გვესაუბრეთ და გაგვაგებინეთ სააკაშვილს დღეს აშშ მხარს უჭერს თუ არა?***

— აშშ და სხვა ჩვენი მხარდამჭერი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოს წარმატებას პირველ რიგში, საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ ცვლილებების წარმატებასთან აფუძნებენ, რადგან ქვეყნის სტაბილური განვითარების საფუძველს ერთადერთი ეს გააჩენს. ეს ასევე გააჩენს იმის გარანტიებს, რომ ქვეყანაში პროცესები რადიკალიზაციის და დაპირისპირების გზით არ წავა. მეორე რაც ჩემთვის ასევე მნიშვნელოვნად ცხადი იყო არის ის, რომ სააკაშვილს ყველა წარსულის პოლიტიკოსად თვლის. სააკაშვილი დღეს მსოფლიოსთვის თავის ტკივილია. სააკაშვილი უკვე ყველას თვალში წარსულს ჩაბარდა. ახლა მთავარია, რომ ჩვენ დარჩენილი პერიოდი გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ქვეყანაში სტაბილური განვითარების ინსტიტუციური გარანტიები შეიქმნას და ის, რაც მიღწეული იქნა კარგი შენარჩუნდეს, ის დიდი პრობლემები კი, რომლებიც სააკაშვილმა ქვეყანას შეუქმნა, გამოსწორდეს.

# 77 წლის მოხუცს სტუდენტთა სიაში შეყვანის გამო სოციალური დახმარება შეუწყდა

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მცხოვრებმა 77 წლის ნათელა ჯაჭვაძემ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინა, რომ სტუდენტია და თან სატყეო სააგენტოში იურისტად მუშაობს. ამის გამო, მას სოციალური დახმარება შეუწყდა. ნათელა ჯაჭვაძე 7 თვის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებში დახმარების აღდგენას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ, — აცნობეს „მედიანიუსს“კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— სოციალური მომსახურების სააგენტოში მითხრეს, თბილისიდან სია მივიღეთ, სადაც წერია, რომ მეოთხე კურსის სტუდენტი ხარ და თან სატყეო სამსახურში იურისტ - კონსულად მუშაობო. მას შემდეგ ვდაობ, მაგრამ დახმარება აღარ მაღირსეს. რამდენიმე თვეა დავდივარ ვეჯინიდან გურჯაანში, გურჯაანიდან თელავში, თელავიდან ისევ გურჯაანში. ისე დავიღალე, რომ ბევრჯერ ვიფიქრე, თავი დავანებო მეთქი, — აღნიშნა ნათელა ჯაჭვაძემ. მოხუცმა დახმარებისთვის „სამოქალაქო აქტივობების ცენტრს“ მიმართა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ლია სიბაშვილის თქმით, სააგენტოს რაიონული განყოფილებები ცენტრალური ოფისიდან პერიოდულად იღებენ დასაქმებულთა სიებს, სადაც სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების წევრთა ვინაობა და დამსაქმებელი ორგანიზაციების მონაცემებია მითითებული.

— ერთ - ერთ ასეთ სიაში აღმოჩნდა ნათელა ჯაჭვაძეც. დოკუმენტში მითითებულია, რომ ის სატყეო სააგენტოში მუშაობს. სტუდენტზე ვერაფერს გეტყვით, — განაცხადა ლია სიბაშვილმა.

— ნათელა ჯაჭვაძის განცხადების საფუძველზე სოციალური მომსახურების სააგენტოდან დოკუმენტები გამოვითხოვეთ, რომელშიც სოციალური დახმარების შეწყვეტის საფუძველი, გადაწყვეტილების ნომერი, გადაწყვეტილების მიმღები პირის ვინაობა ან შეწყვეტის შესახებ ოფიციალური ბრძანება საერთოდ არ არის მოცემული. კანონით, შესაბამისი რეკვიზიტების მითითება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში აუცილებელია, — განაცხადა „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ იურისტმა ლია ხუროშვილმა. მისი თქმით, ორგანიზაცია ადვოკატირებას გაუწევს ნათელა ჯაჭვაძეს, სოციალური მომსახურების სააგენტოს 7 თვის დახმარების თანხის კომპენსირებას სთხოვს და თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, სარჩელს სასამართლოში შეიტანენ.

ამ საქმით „სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ დაინტერესების შედეგად, ნათელა ჯაჭვაძის ოჯახი სოციალურმა აგენტმა 2 დღეში ისევ გადაამოწმა. ნათელა ჯაჭვაძესთან ერთად ოჯახში, უმუშევარი შვილი და მცირეწლოვანი შვილიშვილი ცხოვრობენ. ნათელა ჯაჭვაძის საქმეს ამ დროისთვის სოციალური მომსახურების სააგენტო სწავლობს და პასუხი აპრილის ბოლოსთვის გაირკვევა.

მედიანიუსი

# ხელისუფლება საპროტესტო ტალღას ელოდება

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ გაერკვა, თუ რა პოზიცია აქვს დღეს რვიანს, რა არის მათი მიზანი, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ რვიანი, რომელიც პოლიტიკურ მოლაპარაკებას აწარმოებს, მაქსიმალურად ცდილობს, გამოჩნდეს არარადიკალური და მზად იმისთვის იმისთვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მიაღწიონ სამართლიან არჩევნებს. პარალელურად ამ რვიანს, ყოველ შემთხვევაში, რვიანის გარკვეულ ნაწილს აქვს რადიკალიზმის კომპლექსი, რომელიც თავად ხელისუფლებამ გააჩინა თავისი იდეოლოგიით, თავისი მედიაკამპანიით და ასე შემდეგ. ამ რადიკალიზმის იდეოლოგიამ გარკვეულწილად ზემოქმედება მოახდინა დასავლეთზე და დასავლეთიც განწყობილია იმისკენ, რომ ქვეყანაში არსებობდეს პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მაქსიმალურად ეცდება, მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მივიდეს თავისუფალ დემოკრატიულ არჩევნებამდე. ამიტომ ამ ვითარებაში ის, რასაც დღეს ეს რვიანი აკეთებს, მე ვფიქრობ, რომ გამართლებულია, გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, თავი წარმოაჩინონ, როგორც დემოკრატიულმა, ცივილიზებულმა მოთამაშეებმა. მიუხედავად იმისა, რომ თუკი თქვენ ამ რვიანის განცხადებებს გადახედავთ, ყველა არის ერთნაირი, რომ ამ ხელისუფლების მხრიდან მაინც არაფერი არ გამოვა და ისინი არანაირ დათმობაზე არ წავლენ.

***— მაშინ რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას დაანახვონ, ვთქვათ, როგორი კონსტრუქციულები არიან?***

— მე ვფიქრობ, რომ მთავარი ამ რვიანის ამოცანა დღეს შემდეგია: საერთაშორისო საზოგადოებას, დასავლეთს დაანახვონ, რომ ეს ხელისუფლება მართლაც არ არის მზად, გადადგას ნაბიჯები დემოკრატიისკენ, რომ ეს ხელისუფლება დასავლეთს ატყუებს, როდესაც ამბობს, რომ მიდის დემოკრატიისკენ, რომ, უბრალოდ, ოპოზიცია მას ხელს არ უწყობს, რომელიც უფრო რადიკალურად არის განწყობილი, რომ ოპოზიციას მხოლოდ ძალისმიერი გზით უნდა მოიცილოს ხელისუფლება, ანუ რეალურად ოპოზიციას სურს დაამტკიცოს, რომ მას აქვს იმ ხელისუფლებასთან საქმე, რომელიც მშვიდობიანი, პოლიტიკური დემოკრატიული გზით არ აპირებს ხელისუფლების დათმობას, რომ ერთხელ და სამუდამოდ ის ილუზიები გაქრეს დასავლეთში, რასაც ჰქვია, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია დემოკრატიული რეფორმების გატარება, უბრალოდ, მას სჭირდება შესაბამისი პარტნიორი და ხელშემწყობი. ასეთი მიდგომები და პოზიციები დასავლეთში რეალურად არის და მე თავად გავხდი ამ პოზიციების მომსმენი, იმიტომ რომ იგივე ბრიუსელში შეხვედრების დროს ყველა უცხოელი დიპლომატი თუ პარლამენტის წევრი აღნიშნავდა, რომ ეს არ არის დემოკრატიული ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ გვაქვს პროგრესის იმედი და ჩვენ გვაქვს იმის იმედი, რომ გონს მოეგება ხელისუფლება და გადადგამს ნაბიჯებს დემოკრატიისაკენ. ალბათ, მთელი ეს თამაში ემსახურება იმ საქმეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ შავს შავი დაერქვას და თეთრს — თეთრი. როგორც ხელისუფლებას სჭირდება ნიღბის ჩამოხსნა და რეალურად იმის დანახვა, რომ ეს ხელისუფლება არ არის წამსვლელი დემოკრატიულ პროცესებზე, როგორც ოპოზიციას, ისე პოზიციას სჭირდება დღეს, დასავლეთსა და მათ შორის ქართველ საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ მან ყველაფერი გააკეთა, ბოლომდე დაიხარჯა იმისათვის, რომ პროცესი წარმართულიყო დემოკრატიულად. გარდა ამისა, ალბათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიბიის საკითხმა.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— ლიბია, ერთი მხრივ, არის ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრივ, ლიბია არის სისხლიანი რევოლუცია და ამ სისხლიანი რევოლუციის კომპლექსი ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს. ამიტომ ამ ლიდერებს სურთ დაამტკიცონ, როდესაც მიდიან მოლაპარაკებებზე რვიანის ფარგლებში და მაქსიმალურად ცდილობენ, წავიდნენ დათმობაზე, რომ ისინი უფრო მეტად ცივილიზებულნი არიან, ვიდრე ხელისუფლება, რომელიც ამ რისკებს არ ხედავს ან არ უნდა, რომ დაინახოს. ამიტომ ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, რვიანისთვის და სხვა პოლიტიკური ძალებისთვის. მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ რვიანის პოზიცია არ არის, ჩემი აზრით, სხვა პოლიტიკური ძალებიც ასე ფიქრობენ, უბრალოდ, ზოგი თამაშობს, ზოგი არ თამაშობს და ამბობს, რომ შედეგი მაინც იგივე იქნება და ამიტომ ჯობია, პირდაპირ გადავიდეთ ღია ბრძოლაზე ქუჩიდან.

***— რვიანის ყველა შეთავაზებაზე, ყველა ინიციატივაზე ხელისუფლების მხრიდან ცინიკური პასუხი წამოვიდა...***

— რამდენადაც მე სამხედრო სტრატეგია მიყვარს და ჩემი პროფესიის ნაწილია, პირველ რიგში ყოველთვის უნდა გავაანალიზოთ მოწინააღმდეგის, მეორე მხარის სტრატეგია. როგორც ჩანს, ხელისუფლების ამოცანა ამ ეტაპზე დროის მაქსიმალურად გაწელვაა. დროის მაქსიმალურად გაწელვა იმისათვის, რომ ხელისუფლება დათმობაზე თუ წავიდა, წავიდეს იმ მომენტში, როდესაც ოპოზიციას ძალები გამოელევა, როდესაც ეს გამოიწვევს გარკვეულ განხეთქილებას ოპოზიციაში და როდესაც ეს გარკვეულწილად დააცხრობს პროტესტს.

***— სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენ ოპოზიციასთან ცალ-ცალკე დავიწყებთ მოლაპარაკებებსო. მათი მიზანი ხომ არ არის, რომ დაშალონ რვიანი?***

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ელოდება საპროტესტო ტალღას, სადაც, არ არის გამორიცხული, რვიანის გარკვეული წევრები ამ საპროტესტო ტალღას შეუერთდნენ და მათი პოზიცია იქნება, ჩვენ რვიანში დავიხარჯეთ და მივიღეთ ნული შედეგი. ამიტომ, თუ რვიანი არ არის ფორმატი, რომლითაც შედეგს შეიძლება მივაღწიოთ, ჩვენ ვინაცვლებთ ქუჩაში. ამის უფლება გვაქვს. ეს არის დემოკრატია, ეს არის ფორმა, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლება ვაიძულოთ, გადადგას ნაბიჯი დემოკრატიისკენ. რეალურად რას ითხოვს რვიანი? — სამართლიან არჩევნებს, ხომ არ ითხოვს იმას, მე კარაქიანი პური მომეცი და შენ შავი პური ჭამეო. დემოკრატიულ არჩევნებს, სამართლიან არჩევნებს ითხოვს. ამიტომ, მე ვფიქრობ, ხელისუფლება ელოდება საპროტესტო ტალღას, სადაც ალბათ მათ შორის რვიანის წევრებიც აღმოჩნდებიან და მაშინ, როდესაც შეიძლება საპროტესტო ტალღამ კულმინაციას მიაღწიოს, ხელისუფლება წავა გარკვეულ დათმობაზე და განხეთქილებას გამოიწვევს ოპოზიციაში, რომლის ერთი ნაწილი დარჩება ქუჩაში, ხოლო მეორე ნაწილი წავა სახლში, წავა მოლაპარაკებებზე და ეს, საბოლოო ჯამში, კვლავაც გამოიწვევს პირველ რიგში უკმაყოფილებას, იმედგაცრუებას იმ მოსახლეობის, იმ ადამიანებისა, რომლებიც ქუჩაში იდგებიან. ეს კიდევ ერთხელ დაანგრევს საპროტესტო მოძრაობას.



***— ფიქრობთ, რომ ასე იქნება?***

— ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი აზრია და მე ვფიქრობ, ამ განწყობითაა დღევანდელი ხელისუფლება. გარდა ამისა, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ თუ საპროტესტო აქციები დაიწყო, დასავლეთი აუცილებლად ჩაერევა. ჩაერევა არა რბილად, არამედ საკმაოდ აქტიურად, იმდენად, რამდენადაც შეერთებულ შტატებს ძალიან ეშინია, მის სტრატეგიულ პარტნიორთან პროცესები ისე არ განვითარდეს, როგორც, მაგალითად, არაბულ სამყაროში. ამიტომ მათი ჩარევა იქნება ასევე ერთგვარი ზეწოლა ხელისუფლებაზე. რაღაც დათმობაზე უნდა წახვიდე. არ შეიძლება ასე, ხომ?! ხელისუფლებაც იტყვის, კარგით, თუ მაიძულებთ, წავალ ამ დათმობაზე, ოღონდ ბიომეტრიული პასპორტები შენ დამიფინანსეო და ისიც დათანხმდება, ანუ ეს არის ერთგვარი თამაში, სადაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ყოველთვის ჯოკერი ჯიბეში უდევს. რადგან ხელისუფლება ძალაუფლებას ფლობს, აქვს მეტი რესურსი, რომ სიტუაციაზე მოახდინოს ზემოქმედება, ამიტომ არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები დღეს არათუ ამ თამაშს სამართლიანად თამაშობენ, არამედ ცინიკურად იქცევიან, იმიტომ რომ ერთგვარად ეს მთელი სტრატეგია გათვლილი აქვთ. მთელი გეგმა გათვლილი აქვთ.

***— ფიქრობთ, რომ რადიკალური ოპოზიციის მცდელობა უშედეგოდ დასრულდება, თუკი ხელისუფლება ამ გეგმას აამუშავებს?***

— ერთი ის, რომ სიტყვა „რადიკალური" არ მომწონს. დღეს თუ ვინმე არარადიკალია ჩვენს ქვეყანაში, ეს არის ჩვენი ხელისუფლება, იმიტომ რომ მხოლოდ ჩვენი ხელისუფლება დგას რადიკალურ პოზიციებზე, არ დათმოს ერთი სანტიმეტრი დემოკრატიის მიმართულებით. მე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლების პოზიციაა, ერთგვარად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ დემონსტრაციების, მიტინგების ან გამოსვლების დროს ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა. პარალელს გავავლებ და ვიტყვი, როდესაც ხალხი ქუჩაში იყო, ხელისუფლება გამოვიდა და თქვა, დავიწყოთ საკონსტიტუციო რეფორმაო. ამით ჩაცხრება გარკვეული პროტესტი და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ ის კონსტიტუციური რეფორმა, რომელიც ხელისუფლებას აწყობდა. აქაც შეიძლება, იგივე ვარიანტი იყოს, იცით, მზად ვართ, წავიდეთ დათმობაზე და შევცვალოთ საარჩევნო კოდექსი ისე, როგორც ოპოზიციას უნდა, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებით და მერე ვაიოპოზიციონერების მხარდაჭერით გაიტანენ ამ ვარიანტს, რომელიც ისევ და ისევ ხელისუფლებას აწყობს. გარდაუვლად გვაქვს ჩვენ დეჟავუ, რომელზეც ჩვენმა ოპოზიციამ ჭკუა ვერ ისწავლა, მაგრამ, რას ვიზამთ, ეს არის ძლიერისა და სუსტის თამაში, სადაც უნდა ვიცოდეთ, რომ ძლიერს მეტი შანსები აქვს იმისთვის, რომ გაიმარჯვოს.

***— ქართული პარტია და სახალხო კრება აქტიურად ემზადებიან საპროტესტო აქციებისთვის. ხალხი რომ ქუჩაში გამოვა, ხომ შეიძლება, ყველაფერი უმართავ პროცესებში გადაიზარდოს და ხელისუფლებამ ველარ ითამაშოს თავისი თამაშის წესებით?***

— გონიერი და უგუნური ხელისუფლება ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ გონიერი სწორ გადაწყვეტილებას იღებს დროის იმ მონაკვეთში, როცა საჭიროა, ანუ სწორ დროს სწორ გადაწყვეტილებას იღებს. კადაფის თავის დროზე სწორი გადაწყვეტილება რომ მიეღო და ხალხი რომ ქუჩაში გამოვიდა, არჩევნები დაენიშნა, როგორც დღეს ამას ითხოვს, მერწმუნეთ, შეიძლება ვაშინგტონში კადაფის სურათი ჩამოეკიდათ. მან სწორ დროს სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. ჩვენს ხელისუფლებას აქვს იმის მოლოდინი და განცდა, რომ ყოველთვის სწორ დროს სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ მოვლენები ჩვენ საწინააღმდეგოდ განვითარდება, მით უმეტეს — ეს ახალგაზრდა ხელისუფლებაა, აქამდე შიდა ბრძოლებში არ წაუგიათ და ჰგონიათ, რომ კოკა წყალს ყოველთვის მოიტანს. ამიტომაც მშვიდად არის, თორემ რეალურად ტუნისში როგორ დაიწყო რევოლუცია, ჯობია, ყველამ გავიხსენოთ — ერთი გამყიდველის პროტესტის გამო. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა, უპირველესად ყველაფერი თავად ხალხზეა დამოკიდებული.

# ნატო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას გვირჩევს

ნათია ხურცილავა

**საქართველოში ვიზიტით ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი იმყოფებოდა. აპატურაიმ შეხვედრები ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან გამართა.**

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის პირველი ვიზიტია ახალ თანამდებობაზე საქართველოში. ჯეიმს აპატურაიმ პირველი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან გამართა.

დახურულ კარს მიღმა, როგორც ვაშაძემ განაცხადა, აქტუალური საკითხები განიხილეს. განხილულ იქნა ბერლინში დაგეგმილი ნატოს მინისტერიალი. ასევე განხილულ იქნა ის გზა, რომელიც საქართველომ უკვე გაიარა და რომელიც უნდა გაიაროს ნატოში ინტეგრაციისთვის. ასევე განხილულ იქნა ავღანეთის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობა და რეგიონული ვითარება, საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აპატურაიმ დაადასტურა, რომ პრინციპი, რომელიც არაერთხელ იქნა ალიანსის მიერ დადასტურებული, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება, თუ ეს მისი სურვილი იქნება, კვლავ ძალაში რჩება.

— მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი საქართველოში. ნაყოფიერი დისკუსია იყო. ნატოს არ შეუცვლია თავისი პრინციპი, რომელიც ბუქარესტის სამიტზე გაცხადდა და ლისაბონის სამიტზე დადასტურდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუ პრინციპებსა და სტანდარტებს დააკმაყოფილებს და თუ სურვილი იქნება. საქართველო აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტები. პროგრესი დიდია, მაგრამ მეტია გასაკეთებელი. ნატო-საქართველოს კომისია სწორედ ამას ემსახურება. ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ძალიან მაღალ დონეზეა. ჩვენი ურთიერთობები სწორი მიმართულებით ვითარდება და ამ ურთიერთობებს ვამყარებთ, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ნატოს დეკლარირება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ძალაში რჩება.

— ჩვენი მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო ნატო-საქართველოს მინისტერიალი, რომელიც ბერლინში გაიმართება და რომლის ფარგლებშიც შედგება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ბატონმა აპატურაიმ, როგორც ნატოს მაღალმა წარმომადგენელმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა: ის პრინციპი, რომელიც არაერთხელ იყო დეკლარირებული ალიანსის მიერ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, ძალაში რჩება და მტკიცდება როგორც ორგანიზაციაში, ისე თითოეულ წევრ ქვეყანაში, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.




ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ დემოკრატიული რეფორმების კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

აპატურაიმ ნატოს გენერალური მდივნის სახელით მადლობა გადაუხადა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის საქართველოს ხელისუფლებას.

— ათასი ქართველი ჯარისკაცის წარგზავნა ავღანეთის ოპერაციაში ძალიან დიდი ციფრია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ძალიან მძიმე პირობებში და მძიმე რეგიონში უწევთ სამსახური ქართველ ჯარისკაცებს. უკვე მეშვიდე ჯარისკაცი დაკარგეთ და მათ ოჯახის წევრებს ვუსამძიმრებ ამის გამო. თუმცა, გარდამავალი ეტაპი დაიწყო და 2014 წლამდე მივაღწევთ იმას, რომ სიტუაციაზე კონტროლი თვითონ ავღანეთის მთავრობამ აიღოს, — განაცხადა აპატურაიმ.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა თბილისში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ პრიორიტეტებს თავად ქვეყანა ირჩევს და პრიორიტეტებს ვერავინ განუსაზღვრავს საქართველოს.

— საქართველო ირჩევს თავის პრიორიტეტებს. ჩვენ მხოლოდ მხარდაჭერას ვთავაზობთ საქართველოს და წლის ბოლოს ვაჯამებთ, თუ როგორ განხორციელდა ესა თუ ის რეფორმა. მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციური რეფორმა.

**გაგრძელება მე-5 გვერდზე**

# ნატო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას გვირჩევს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ახლა ველოდებით არჩევნების ჩატარებას, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებს. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულია მოლაპარაკებები, ჩვენ მხარს ვუჭერთ პროცესში მონაწილე ყველა მხარეს, — განაცხადა აპატურაიმ.



პრესკონფერენციაზე დაისვა საკითხი, როგორ აფასებს ნატო რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მდგომარეობას. აპატურაის განცხადებით, ნატო ვერ ეტყვის საქართველოს, როგორი ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოსთან.

— ჩვენ გვინდა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება, მაგრამ ნატო ვერ ეტყვის პარტნიორ საქართველოს, რა ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოსთან. თუმცა, კეთილმეზობლური ურთიერთობები სასარგებლოა. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებებს. არათუ შეიცვალა ეს ვალდებულებები, არამედ კიდევ უფრო გამტკიცდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, — ამბობს აპატურაი და დასძენს, რომ ამისთვის საქართველომ სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს.

აპატურაი ამბობს, რომ ლისაბონის სამიტმა ფაქტიურად დაადასტურა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუ ამის სურვილი ექნება და ორგანიზაციის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

— საქართველომ წარმატებას მიაღწია რეფორმირების კუთხით, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. ეს ეხება დემოკრატიისა და თავდაცვის რეფორმას. საქართველო ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს, თუმცა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი, — ამბობს ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი.

ჯეიმს აპატურაი აცხადებს, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობები ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში გრძელდება.

## გიგი უგულავამ და საფრანგეთის ელჩმა ფრანგული ინსტიტუტი გახსნეს

თბილისის მერმა, გიგი უგულავამ და საფრანგეთის ელჩმა, ერიკ ფურნიემ აღმაშენებლის №75-ში ფრანგული ინსტიტუტი გახსნეს.

როგორც ერიკ ფურნიემ განაცხადა, თბილისის ფრანგული ინსტიტუტი მსოფლიოში გახსნილ 13 ინსტიტუტთაგან ერთ-ერთი პირველია.

— საზოგადოებისათვის გახსნილი ფრანგული ინსტიტუტი, მრავალმხრივი ღონისძიებების მეშვეობით, საქართველოში ფრანგული კულტურის გავრცელებისა და ფრაგულ-ქართული თანამშრომლობის განმტკიცების მისიას ემსახურება“, — განაცხადა ერიკ ფურნიემ.

ფრანგულ ინსტიტუტში გააგრძელებს მუშაობას ალექსანდრე დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი, რომელიც გუდიაშვილის №10-ში მდებარეობდა.

ფრანგულ ინსტიტუტში უკვე ფუნქციონირებს ფრანგული ენის კურსები, ფრანგული ენის საგამოცდო ცენტრი, ტრენინგები ფრანგული ენის მასწავლებლებისათვის, ფრანკოფონიისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ასევე საფრანგეთში ლინგვისტური სტაჟირებების ორგანიზება.

ინსტიტუტი იმუშავებს ასევე კულტურის, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სფეროში საქართველოსა და საფრანგეთის თანამშრომლობის კუთხით.

**ინტერპრესნიუსი**

ხელისუფლების რეპრესიის ქვეშ ვიმყოფებით

# სააკაშვილი რომ ისევ პრეზიდენტია, ჩვენი ბრალია

შორენა კოწოწაშვილი

**სახალხო კრების წარმომადგენელი გიორგი კობახიძე დარწმუნებულია, რომ 2 მაისს დაწყებული მძლავრი საპროტესტო ტალღა სააკაშვილის ხელისუფლებას გადაიყოლებს და საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება. ქართველი ხალხის უმრავლესობა ამისთვის მზად არის. მთავარია, სააკაშვილის წასვლას გარედან ხელი არ შეუშალონ.**

რა გეგმები აქვს სახალხო კრებას და შეუშლის თუ არა ხელს ორი პარალელური პროცესი, რომელსაც სახალხო კრება და ქართული პარტია ფაქტობრივად ერთდროულად დაიწყებენ? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დემოკრატიული მოძრაობის წევრ **გიორგი კობახიძესთან.**

***— ბატონო გია, რევოლუციური პროცესისთვის მზადება ორმა ოპოზიციურმა ძალამ დააანონსა — სახალხო კრებამ და ქართულმა პარტიამ. რატომ უკეთებს ხელისუფლება ამ ინიციატივებს იგნორირებას?***

— რაც შეეხება იგნორირებას, ვფიქრობ, ეს შესაბამისი სიტყვა არ არის. პირიქით, ხელისუფლება ძალის დემონსტრირებას ცდილობს და ის დაჭერები, რომლებიც ბოლო დროს განხორციელდა, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ხელისუფლება ფიქრობს, რომ შეუძლია, კიდევ ვილაცა შეაშინოს, მაგრამ რეალობაა ისეთის, რომ ასეთი დამოკიდებულება აღარ გავა. იგნორირება პიარ-ტექნოლოგიის ერთ-ერთი კომპონენტია. ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება ტელევიზიებზე და ამ იგნორირებით ცდილობს ნაკლები საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა დაუგეგმავი აქტივობის ჩართვისა. ვიმეორებ, ეს მთლიანად პიარ-ტექნოლოგიის ჩარჩოში ჩამჯდარი გადაწყვეტილებაა, ანუ ხელისუფლებას ამაზე მთელი ინსტიტუტები უზის და ესენი სთავაზობენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. დღეისათვის მათი მხრიდან ეს გადაწყვეტილებაა შერჩეული. მთელი ყურადღება გადააქვთ ვითომ დაპირისპირებაზე რვიანთან, რომ რალაცნაირად წარმოაჩინონ, თითქოს სხვა პროცესები არ არსებობს. ასეთი წარმოდგენის შექმნა უნდათ მოსახლეობაში.

***— ვითომ დაპირისპირებას რატომ ამბობთ? ფიქრობთ, რომ ოპოზიციურ რვიანსა და ხელისუფლებას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით შეუთანხმებლობა არ არის?***

— ფაქტია, რომ საგნობრივი არ არის, დიალოგი ჰქვია ამას თუ პინგ-პონგი. ის, რომ რვიანი გადავიდა პატარ-პატარა კენჭების შეგროვებაზე, არჩევნების წესთან დაკავშირებით ახალი შეთავაზებები და ეს მთლიანად ისევ დროის გაწელვაზე გათვლილი თამაშია.

***— რატომ იყო ეს თამაში და ბლეფი? ბევრი ფიქრობს, რომ რვიანმა დასავლეთს დაანახვა, რომ სააკაშვილის ხელისულებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არ სურს და რომ ეს აუცილებელი იყო.***

— დაპირისპირება ბლეფი იყო გარკვეული ნაწილისგან, მაგრამ თვითონ ეს მოლაპარაკებები უშედეგობაზე რომ იყო გათვლილი, ფაქტია. უბრალოდ, ამ ორგანიზაციებიდან ნაწილი ამბობდა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გავაშიშვლოთ ეს ხელისუფლება, ისედაც შიშველი ხელისუფლება. მეორე ნაწილი, რომელიც ბლეფობდა, უბრალოდ, იმაზე ზრუნავდა, რომ ამ თამაშით ხელისუფლებას, ერთი მხრივ, კიდევ დრო მოეგო; მეორე მხრივ, გარეთ მას შექმნოდა დემოკრატის გარკვეული იმიჯი, იმიტომ რომ, თუ ოპოზიციასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდები, გარკვეულ პრობლემურ საკითხებს განიხილავ, ბუნებრივია, სააკაშვილის იმიჯზე ქვეყნის გართ ეს კარგად იმუშავებდა. ეს იყო მთელი შინაარსი ამ „დაპირისპირებისა“.

***— რამდენად სერიოზულად ემზადება სახალხო კრება 2 მაისის შემდგომი მოვლენებისთვის? სამოქალაქო სექტორი მიიჩნევს, რომ თუ ძალად არ ჩამოყალიბდა კონკრეტული ოპოზიციური ფლანგი, ხელისუფლების შეცვლა გაჭირდება.***

— როცა ჩვენ 25 ნოემბერს ვამზადებდით, მაშინ განვაცხადეთ, რომ 25 ნოემბერს რომ დავიწყებთ, პროცესი არ გაჩერდება მანამდე, სანამ შედეგს არ მივაღწევთ. ამის შემდეგ ჩვენ 55 კომიტეტი დავაფუძნეთ მთელი საქართველოს მასშტაბით. დაფუძნება მოხდა ყველა რეგიონში, თუმცა, რამდენიმე რაიონი კიდევ დაგვრჩა, სადაც უახლოეს დღეებში დავასრულებთ პროცესს. საინიციატივო ჯგუფები ყველგან არის შექმნილი. უკვე აქედანაც კარგად ჩანს, რომ სახალხო კრება მუშაობს და სერიოზულად ემზადება იმისათვის, რომ 2 მაისს საზოგადოებას ვამცნოთ კონკრეტული გეგმა; თუ რა გეგმის მიხედვით ვაპირებთ ამ ხელისუფლების იმ იძულების წინაშე დაყენებას, რომ ის წავიდეს ძალაუფლების დათმობაზე.

***— მძლავრი საპროტესტო ტალღისთვის ემზადება ქართული პარტიაც. ეს ორი პარალელური პროცესი ერთმანეთს ხელს არ შეუშლის? ამ ძალებს შორის დაპირისპირება პრესის ფურცლებზე აშკარად იკვეთება.***

— მინდა გითხრათ, რომ სახალხო კრების გეგმები არც ერთი შემთხვევაში არ შეიცვლება. რა თქმა უნდა, როდესაც პარალელური პროცესი მიდის, ეს საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციას უწყობს ხელს გარკვეული თვალსაზრისით. მაგრამ ეს არანაირად არ გახდება იმის საფუძველი, რომ კრებამ რამე შეცვალოს თავის გეგმებში. 2 მაისი არის 2 მაისი. ეს ერთი; მეორე — ჩვენი გეგმა და ქართული პარტიის გეგმა თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, იმდენად, რამდენადაც თვითონ მმართველი სუბიექტია თვისობრივად სხვა. კერძოდ, კრება არის ხალხის გაერთიანება და საზოგადოების უმრავლესობა მონაწილეობს საკითხების გადაწყვეტაში და არა პოლიტიკოსთა უმრავლესობა. ეს არის ხაზგასასმელი. ჩვენთან ყველა დონეზე საზოგადოება წარმოადგენს უმრავლესობას და პოლიტიკური პარტიები იქნება თუ პოლიტიკური ფიგურები, ისინი არიან უმცირესობაში. აქედან გამომდინარე, ეს არის ხალხის ხმა. ქართული პარტია არის ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია. თვისობრივი განსხვავება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ კრება თავს არ განიხილავს, როგორც ხელისუფლების ალტერნატივას, განსხვავებით რომელიმე ერთი კერძო პოლიტიკური პარტიისაგან. სახალხო კრების ინტერესი არის ის, რომ გაუშვას ეს ხელისუფლება და უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ამისი გარანტია სწორედ იმაშია, რომ ვინც უზრუნველყოფს ამის ჩატარებას, მათი დიდი უმრავლესობა თვითონ არ მონაწილეობს არჩევნებში. სახალხო კრება ყველა სხვა პარტიისგან ამით განსხვავდება, ანუ ვიმეორებ, არიან ადამიანები, რომლებიც არიან, უბრალოდ, საზოგადო მოღვაწეები და არანაირი ინტერესი იმისა, რომ იყვნენ პარლამენტში, მთავრობაში თუ ხელისუფლების სხვა დონის რგოლებში, არანაირი სურვილი არ გააჩნიათ.

***— რა პოზიციაშია ხელისუფლება და უნდა ეშინოდეს თუ არა იმ ტალღის, რომელსაც სახალხო კრება ჰპირდება? ყველა***



***ოპოზიციონერი აფიქსირებს, რომ ამ დროისთვის ხელისუფლებაში გამოკვეთილი შიდა განხეთქილება არ ჩანს.***

— ხელისუფლებაში შიდა განხეთქილებები როგორ შეიძლება იყოს, როცა ყველაფერს ერთი კაცი მართავს. რაც შეეხება შიშს, ხელისუფლებას ხალხის ნამდვილად უნდა ეშინოდეს, იმიტომ რომ მან ბევრი დანაშაული ჩაიდინა. ეს ხალხის მეხსიერებიდან არ იშლება. ადრე თუ გვიან ასეთი ხელისუფლებები ხალხის სამსჯავროზე წარდგებიან ხოლმე. ასე მოხდება ამ შემთხვევაშიც.

***— ქართული პარტია სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრის კოორდინირებული ქმედებების ინიციატივით გამოდის. შესაძლოა სახალხო კრებამ ან სხვა პარტიებმა ქართულ პარტიასთან ითანამშრომლონ?***

— კრებამ თავის დროზე გააკეთა განცხადება, რომელიც დღესაც ძალაშია, ანუ მათთვის, ვინც კრების გეგმებსა და დამოკიდებულებას გაიზიარებს მიმდინარე პროცესებისადმი, სახალხო კრების კარი არის ღია. ვიმეორებ, კრება გეგმებს არ შეცვლის. რაც შეეხება კონსულტაციებს, ეს კონსულტაციები მუდმივ ხასიათს ატარებს. უბრალოდ, ვისთან არის და რა ინტენსივობით, ეს ჩემთვის ცნობილი არ არის, იმიტომ რომ ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

***— საერთოდ, შესაძლებლად გეჩვენებათ ასე დანაწევრებული ოპოზიციური ფლანგის კოორდინირებული ქმედება?***

— მე, რა თქმა უნდა, მივესალმები იმას, რომ იყოს ერთიანობა და კოორდინირებული ქმედება, მაგრამ, ვიმეორებ, კრება გეგმებს აღარ ცვლის და ამიტომ ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. ფაქტია, კრება, ერთი მხრივ, ყველას უსწრებს ამ ორგანიზებულობის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, კრება არის ფართო წარმომადგენლობა, ანუ უფრო დიდი ძალა, ვიდრე ნებისმიერი ერთი პოლიტიკური პარტია. მე ახლა თქვენ არ გელაპარაკებით, როგორც დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენს ძალებს მთლიანად ვახმართ კრების წარმატებას, ანუ არ გამოვდივართ აქ რალაც პარტიული ინტერესიდან. ამ პროცესმა მთლიანად გადაფარა ის, რასაც ჰქვია პარტია და პარტიული გეგმები.

***— ბატონო გია, რაც ღიად გაცხადდა, რომ 2 მაისიდან იწყებთ აქტიურ ბრძოლას სააკაშვილის გასაშვებად, ხელისუფლების გამოკვეთილი ინტერესი იგრძნობა კრების წარმომადგენლების მიმართ ან თუნდაც რეპრესიები?***

— ხელისუფლების რეპრესიის ქვეშ ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით, რაც ეს ხელისუფლება არსებობს. რეპრესიის ქვეშ ხალხია, უპირველესად ყოვლისა. აქედან გამომდინარე, ეს ახალი არ იქნება. მეორე მხრივ, უკვე ხელისუფლებამ იფიქროს იმაზე, რომ ის არის ხალხის მძიმე წნეხის ქვეშ. ამის კონკრეტული გამოვლინება ის გახლავთ, რომ დაიწყო ახალი მოძრაობა „სამართალი მოდის“. ამ პროექტის პრეზენტაცია უკვე მოვახდინეთ და ამან რეზონანსი უკვე პირველივე საათებში გამოიწვია, იმიტომ რომ უამრავმა მოქალაქემ მოგვმართა თავისი პრობლემით.

***— რას გულისხმობს პროექტი „სამართალი მოდის“?***

— ყველა იმ უკანონობისა და უსამართლობის აღმოფხვრას, რომელიც ამ ხელისუფლების პირობებში მოხდა. როდესაც ამ დამნაშავეებს გავუშვებთ, თავისუფალი სასამართლოს პირობებში ყველა თავსი უფლებას აღიდგენს, იქნება ეს ქონებასთან დაკავშირებული, სამსახურიდან უკანონოდ გაშვება, უკანონოდ დაპატიმრება თუ ა.შ. იცით, რომ მსგავსი პრობლემა ასიათასობით ადამიანს აწუხებს. ეს საქმეები გადაისინჯება და ამ პროექტმა ამიტომ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მეორე მხრივ, ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ გარკვეული სიურპრიზებიც გვაქვს ხელისუფლებისთვის და მისი წარმომადგენლებისთვის. თანდათან ყველაფერი კარგად გამოჩნდება და ამას საზოგადოება დაინახავს.

***— სიურპრიზებში რას გულისხმობთ?***

— სიურპრიზის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება თავს მუდმივი წნეხის ქვეშ უნდა გრძნობდეს. ის მუდმივ დისკომფორტს უნდა განიცდიდეს იმ დანაშაულებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ჩაიდინა.

***— თქვენ სიურპრიზები ახსენეთ. ფაქტია, ხელისუფლება უმოქმედოდ არ არის და როცა ბურჯანაძე და მისი გუნდი აქტიურდება, ტელევიზიით ჩნდება ინფორმაციები იარაღზე, რუსულ ფულზე და ა.შ. რას დაუპირისპირებთ მსგავს „შავ პიარს“?***

— ჩვენ დავუპირისპირებთ გეგმაზომიერ მოქმედებებსა და უკომპრომისო დამოკიდებულებას ამ ჩვენი მიზნის მიღწევისადმი. ეს არის ჩვენი ერთადერთი იარაღი და სიმართლე. სიმართლე არის ის ძალა, რომელიც ამ ხელისუფლებას წალეკავს. ეს სიმართლე ყოველთვის ხალხთან არის. ამ შემთხვევაში სახალხო კრება ხალხის წარმომადგენლობაა.

***— სახალხო კრების მოთხოვნა სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი არჩევნები იქნება?***

— სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

***— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი შემოდგომაზე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს. ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი კი ფიქრობს, რომ ქართველმა ხალხმა სააკაშვილს ამის საშუალება არ უნდა მისცეს, მით უმეტეს ასეთი უსამართლო საარჩევნო გარემოს პირობებში.***

— რასაკვირველია. ის, ვინც ამ ანკესს გადაყლაპავს, ელემენტარულად თავს მოიტყუებს და მერე მისი პოზიცია იქნება ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო.

***— სააკაშვილის წასვლის დრო უკვე დადგა?***

— სააკაშვილის წასვლის დრო დადგა ძალიან მძაფრად ჯერ 2007 წლის ნოემბერში, როდესაც „იმედი“ დაარბია და კულმინაციას მიაღწია 2008 წლის აგვისტოში. ამის შემდეგ, უბრალოდ, მოდით, ასე ვთქვათ, ჩვენი ბრალია, რომ სააკაშვილი კიდევ საქართველოს პრეზიდენტია. ეს უნდა გამოვასწოროთ.

# ბაღაფში თურქეთში გაემგზავრა

**აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში უკვე კარგა ხანია, რაც თურქეთში აპირებს წასვლას. ანკარის მონაწულების სურვილი ბაღაფშს გაპრეზიდენტის დღიდან სწვავს. პირველად გაპრეზიდენტების შემდეგ თავის ინაუგურაციაზე თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს საგანგებოდ მიმართა და სამშობლოში დაბრუნება სთხოვა. ბაღაფში მათ ყველანაირი პირობის შექმნას დაჰპირდა. ამ შეთავაზებამ თურქეთის აფხაზური დიასპორა დიდად არ მოხიბლა.**

თეა მარხვაი ე

დიდი მცდელობის მიუხედავად, ბაღაფშმა თურქეთში ჩასვლა წლების განმავლობაში ვერ შეძლო. ოფიციალური ანკარა თბილისთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა და ამიტომ აჭიანურებდა ბაღაფშის მასპინძლობას. დიდი წვალების შემდეგ ბაღაფშმა როგორც იქნა „გაიჩალიჩა" თურქეთის ვიზა და ოთხდღიანი ვიზიტით თურქეთს ამალასთან ერთად გაემგზავრა. აფხაზური დელეგაცია ანკარაში გუშინ წავიდა.

აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესის" ინფორმაციით, ბაღაფშთან ერთად თურქეთში გაემგზავრნენ აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გრიგორი ენიკი, ბაღაფშის მრჩეველი სარია ამიჩბა, საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაქსიმ ღვინჯია, ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი, ეროვნული ბანკის მმართველი ილარიონ არღუნი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში დენის ცარგუში და სხვები.

ვიზიტის ფარგლებში აფხაზური დელეგაცია თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავს. ამის შემდეგ კი სტამბულს და თურქეთის იმ რეგიონებს ეწვევა, სადაც აფხაზური და ჩერქეზული დიასპორები ცხოვრობენ.

ანკარაში გამგზავრებამდე გაკეთებულ განცხადებაში ბაღაფშმა თურქეთის ხელისუფლებას აფხაზი ხალხისათვის გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ აფხაზების დიდი ნაწილისათვის თურქეთის რესპუბლიკა მეორე სამშობლოდ იქცა.

ცნობისთვის: ეს თურქეთში ბაღაფშის მეორე არაოფიციალური ვიზიტია. პირველად იგი თურქეთს აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის რანგში ეწვია. ეს პოსტი მას არძინბას პრეზიდენტობის დროს ცოტა ხნის განმავლობაში ეკავა.



რაც შეეხება თურქეთს, აქ 500 ათასიანი აფხაზური დიასპორა ცხოვრობს და მათ საკმაოდ სერიოზული გავლენები აქვთ ამ ქვეყანაში. აფხაზურმა დიასპორამ არაერთხელ მიმართა თურქეთის ხელისუფლებას თხოვნით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა ელიარებინათ.

უცხოურ მედიაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებაც, რომ რუსეთმა თურქეთი აფხაზეთის აღიარებაზე დაითანხმა. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ რუსეთი თურქეთს ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარებას დაჰპირდა.

ეს ჭორები მას შემდეგ გაჩნდა, რაც აფხაზეთს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაუთოღლუ აფხაზეთში ჩავიდა. მინისტრის ვიზიტი ანკარამ საინტერესოდ ახსნა. თურქეთის განმარტებით, მინისტრის მიზანი აფხაზეთის გაცნობა და საქართველოსთან მისი ურთიერთობების დარეგულირება იყო.

აფხაზეთს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში პოლიტიკურ საქმეებში მინისტრის მოადგილე ჩევიკოზიც ეწვია, რომელიც წარმოშობით ჩერქეზია.ის აფხაზეთის იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი შამბას შეხვდა. ამას მაშინ თბილისის გაღიზიანება მოჰყვა. ანკარამ კი განმარტა, რომ ამ ვიზიტის თაობაზე თბილისი საქმის კურსში იყო. ანკარამ ისიც განაცხადა, რომ ისინი საქართველოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ისევ უჭერენ. აფხაზებმა კი დაიჯერეს, რომ ჩევიკოზის ვიზიტი მათი აღიარების წინაპირობა იყო.

თურქულ მედიაში აქტიურად განიხილებოდა აფხაზეთის აღიარების თემა. თურქ ანალიტიკოსებს არ სჯერათ, რომ თურქეთი აფხაზეთს აღიარებს. თუნდაც რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპიროსის აღიარების სანაცვლოდ.

თურქულ მედიაში სერგეი ლავროვის განცხადებებიც გამოქვეყნდა. მან გაიხსენა ისტორია. თავის დროზე, ათობით ათასი აფხაზი მუსულმანი ოსმანთა იმპერიაში, მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიიდან დიდი მუსლიმანური მიგრაციის დროს გადაადგილდა.

დღეს თურქეთში აფხაზთა დაახლოებით 500 000 შთამომავალი ცხოვრობს. გარდა ამისა, აფხაზებთან ახლო ურთიერთობა აქვთ თურქეთში მცხოვრებ კავკასიის სხვა დისპორებს, თუ არ ჩავთვლით თურქეთში ქართველ მუსლიმთა შთამომავლებს. აფხაზები ანკარაში უზარმაზარ ლობისტურ გავლენებს ინარჩუნებენ. ისინი მნიშვნელოვან თანამდებობებზე არიან.

როგორც უცხოური მედია წერს: „მოსკოვი შესაძლოა ამ ჯგუფების დახმარების მოლოდინშია, რათა მათ თურქეთის მთავრობაზე ზეწოლა მოახდინონ, რომ ამ უკანაკნელმა აფაზეთთან ურთიერთობის რაიმე ფორმა შექმნას. ჩევიკოზის ვიზიტი სოხუმში, შესაძლოა ანკარაში პოლიტიკის ცვლილებაზე მიუთითებდეს.

2007 წელს, როდესაც აფხაზების ლიდერს სერგეი ბაღაფშს აფხაზურ დიასპორასთან შესახვედრად თურქეთში გამგზავრება სურდა, თურქეთის მთავრობამ მას ვიზა არ მისცა.

ამასთან დაკავშირებით მაშინ თურქეთის პრეზიდენტმა საინტერესო განცხადება გააკეთა:

— ამ მხრივ მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, — განაცხადა აბდულა გიულიმ.

თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ისევ მხარს უჭერს. ანკარა საქართველოსთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას აპირებს. თბილისი და ანკარა უპასპორტო მიმოსვლას აპირებენ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს განცხადებები.

რაც შეეხება სერგეი ბაღაფშსა და მის ამალას, მათი არაოფიციალური ვიზიტი თურქეთში კვირას დასრულდება. სერგეი ბაღაფში ახლა უკვე პირადად სთხოვს თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს უკან დაბრუნებას.

ასეთი შეთავაზება ბაღაფშმა მათ სოხუმიდან უკვე რამდენჯერმე გაუკეთა. უკან დაბრუნების შემთხვევაში ის მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფასაც დაჰპირდა. სავარაუდოდ მათ ქართველებისთვის წართმეულ სახლებში შეასახლებდა. თურქეთში მცხოვრებმა აფხაზებმა ბაღაფშის შეთავაზება არ მიიღეს. სოხუმში საცხოვრებლად დაბრუნება ძალიან ცოტამ მოინდომა.

ამ ადამიანებს თურქეთში უკვე აწყობილი აქვთ ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ არ სურთ ყველაფერი თავიდან დაიწყონ. აფხაზეთში წასვლის შემთხვევაში კი ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს.

ისე, საინტერესოა, სად უპირებს ბაღაფში თანატომელებს დასახლებას. მიწებს ხომ ის რუსეთს უთმობს.

# ანტიბიოტიკები საშიში ხდება

ნათია ხურცილავა

**ღაავაღებათა ჯონტიოლისა ღა საზოგაღოებიივი ჯანმითეღობის ეიოვნუღ ცენტიში ჰიესჯონფეიენცია გაიმაითა. ყოვეღი წღის 7 აპიიღს მთეღი მსოფღიო ჯანმითეღობის მსოფღიო ღღეს აღნიშნავს. წეღს ეს ღღე ანტიბიოტიჯებისაღმი იეზისტენტობის ჰიობღემას მიეძღვნა.**

წელს ჯანმრთელობის მსოფლიო დღის დევიზია: არ ვმოქმედებთ დღეს, ვერ ვმკურნალობთ ხვალ.

ანტიბიოტიკები მედიკამენტებია, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციების მკურნალობისა და პრევენციისთვის. მიუხედავად ამისა, ანტიბიოტიკების გამოყენების სიხშირესთან ერთად მატულობს მათ მიმართ ბაქტერიების რეზისტენტობაც.

— მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში 25 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიული ინფექციებით, რომლებიც უმეტესწილად საავადმყოფოში ყოფნისას იჩენს თავს. ევროპის რეგიონებში ექიმები და მეცნიერები შიშობენ, რომ ანტიბიოტიკების არარაციონალურმა მოხმარებამ, რის შედეგადაც განვითარდა და ახლაც ვრცელდება ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ინფექციები, შესაძლოა დაგვაბრუნოს ანტიბიოტიკების არარსებობის ხანაში, როდესაც გავრცელებული ინფექციები შეიძლება აღარ დაექვემდებაროს მკურნალობას, ჩვეულებრივი ქირურგიული ოპერაციებისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩატარება კი სიცოცხლისთვის საშიში გახდეს, — ნათქვამია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მიერ.

აღნიშნული პრობლემა, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემაა, არამედ — მთელი მსოფლიოსი.

— უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის დონე უპრეცედენტოდ მაღალია, ხოლო ახალი ანტიბიოტიკები არც ისე მალე გამოჩნდება, — განაცხადა ჯანმო-ს ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორმა. ანტიბიოტიკები უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა, მაგრამ ჩვენ ისე შევეჩვიეთ მათ გამოყენებას, რომ სათანადოდ ვეღარ ვაფასებთ მათ მნიშვნელობას. ჩვენ მიერ ანტიბიოტიკების ჭარბად და არამიზნობრივად გამოყენებამ გამოიწვია ისეთი ბაქტერიების გაჩენა, რომლებიც აღარ ექვემდებარება მედიკამენტურ მკურნალობას, — ნათქვამია პრესრელიზში.



**ნატა ავალიანი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი:**

— ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა დღეს ნამდვილად არის საზოგადოების ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა. საქართველოსთვის ეს ძალიან მტკივნეული და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ანტიბიოტიკები უმნიშვნელოვანესი სამედიცინო პრეპარატებია, რომლებიც ბევრი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორებიც არის რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარება, ასევე საავადმყოფოს შიდა ინფექციები — ეს ყველაფერი დაკავშირებულია ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულობის განვითარებასთან. ამ ყველაფრის ძირითადი მიზეზი ამ პრეპარატების არარაციონალური და არასწორი გამოყენებაა. არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტი თვითმკურნალობაზე უნდა გაკეთდეს, რომელიც ჩვენთან ძალიან დიდი პრობლემაა. ძალიან ხშირად პაციენტები, სამწუხაროდ, თვითმკურნალობას მიმართავენ. ანტიბიოტიკების გამოიყენება ხდება ვირუსული დაავადებების დროს სიცხის დასაწევად, როდესაც ეს აბსოლუტურად დაუშვებელია, არანაირი ეფექტი არა აქვს და მხოლოდ ბაქტერიების მიმართ რეზისტენტობას იწვევს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებისთვის ეს პრობლემა სწორად იყოს ახსნილი და მიწოდებული. ასევე სერიოზულად ვაცნობიერებთ პრობლემას სამედიცინო მომსახურების კუთხით. სამწუხაროდ, სამედიცინო პერსონალიც სცოდავს ანტიბიოტიკების არარაციონალური კუთხით გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა არსებობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ ექიმებს, რომ რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენონ ანტიბიოტიკები მკურნალობის დროს. ეს პრობლემა მრავალწახნაგოვანია, ანტიბიოტიკები გამოიყენება არა მხოლოდ ადამიანების სამკურნალოდ, არამედ ვეტერინარიაშიც, სადაც ასეთივე სიფრთხილით არის აუცილებელი ანტიბიოტიკების გამოყენება, რადგან ეს ყველაფერი დაკავშირებულია ისევ და ისევ ანტიბიოტიკების რეზისტენტულობასთან. ვაპირებთ ამ საკითხების უფრო ჩაღრმავებულად შესწავლას, რომელი ანტიბიოტიკები, რომელი რეზისტენტული ფორმებია უფრო გავრცელებული.

**ოთარ თოიძე, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:**

— ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ანტიბიოტიკი, რომელიც მსოფლიომ გასული საუკუნის 40-იან წლებში მიიღო, რომლის წყალობით მილიონობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, თანდათან გადაიქცა მეგობრიდან ორპირ მეგობრად. დღეს საუბარი გვიწევს პოსტანტიბიოტიკურ ერაზე ანუ ერაზე, როდესაც შეიძლება, ეს მედიკამენტები უშედეგო აღმოჩნდეს. სამყარო ძალიან დაუძლურდა, შეიძლება, ცოტა ხანში საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ, რომ ანტიბიოტიკები აღარ იმუშავებს. ამიტომ ჩვენ, ისევე, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს, მოგვიწევს, გარკვეულ ძალისხმევას მივმართოთ. პირველ რიგში ამ საკითხზე ინფორმაციას მოვისმენთ პარლამენტის სხდომაზე, რადგან საკითხი ძალიან მნივშნელოვანია, მე ვიტყოდი, სახელმწიფო მნიშვნელობისაა. მეორეც, ალბათ, რეცეპტების საკითხს მივუბრუნდებით, რადგან რეცეპტურა და სამედიცინო რეკომენდაციის წარმოება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბარიერს. ასევე მოგვიწევს გარკვეული დაავადებებისადმი მეტი ყურადღების მიქცევა. სამუშაო ამ მიმართულებით წინ გვაქვს.

## მედვედევმა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან უვიზო მიმოსვლის შესახებ კანონს ხელი მოაწერა



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთტან უვიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმების ფედერალურ კანონს ხელი მოაწერა.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. აღნიშნული კანონი საშუალებას აძლევს როგორც რუსეთის, ასევე, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მცხოვრებლებს საზღვარი ვიზის გარეშე გადაკვეთონ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დოკუმენტს 23 მარტს უყარა კენჭი, ფედერაციის საბჭომ კი იგი 30 მარტს მიიღო.

მედიანიუსი

## ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორელებს ნერგები დაურიგა

ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორელ ქართველებს ნერგები დაურიგა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ახალგორის მოსახლეობამ აცნობა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის დე-ფაქტო სამინისტრომ ახალგორში ვაშლის, ქლიავისა და ვაზის ნერგები ჩაიტანა და ყველა ოჯახს დაურიგა.

— ნერგებზე დართულ ფურცლებზე მითითებულია, რომ ბელგრადიდანაა, კერძოდ, ფირმა „აგროეხიმის" ნერგებია. საკმაოდ დიდი რიგი იყო ამ ნერგების ასაღებად, — განაცხადეს ახალგორელებმა.

მათივე თქმით, რამდენიმე ადგილობრივმა ნერგების წეროვანში წაღება სცადა, თუმცა, ოსურმა მხარემ მათ ამის საშუალება არ მისცა.

ინტერპრესნიუსი

## სააკაშვილმა ხობში ახლად აშენებული საავადმყოფო გახსნა

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯანდაცვის მინისტრ ანდრია ურუშაძესთან ერთად სამეგრელოს რეგიონში ჩავიდა და მშენებარე კლინიკები დაათვალიერა.

პრეზიდენტი აბაშაში კომპანია „ბლოკ ჯორჯია" „100 ახალი საავადმყოფოს" პროგრამის ფარგლებში მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრის მშენებლობის პროცესს გაეცნო, შემდეგ კი, ხობში ახლად აშენებული საავადმყოფოს შენობა გახსნა.

როგორც პრეზიდენტმა განცხადა, მსგავსი დაწესებულებების არსებობა ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ადგილობრივების დასაქმებას.

„ბლოკ ჯორჯიას" წარმომადგენელების თქმით, სამეგრელოს რეგიონში 12 მილიონი დოლარი უკვე დაიხარჯა. წლის ბოლომდე რეგიონში 9 ახალგარემონტებული საავადმყოფო უნდა გაიხსნას.

მედიანიუსი

# სააკაშვილი ქვეყანას ტერორისტული მეთოდებით მართავს

## საქართველოს ხელისუფლებაში რუსეთის აგენტები არიან

გულიკო ბალა ე

**სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათა ემ მამუკა გიორგა ესა და თამარ ჩხეი ესთან ერთად მედია-კავშირ „ობიექტივში" ჟურნალისტებთან შეხვედრა მოაწყო და ქვეყანაში არსებულ პრობლემებსა და მისი გადაწყვეტის საშუალებებზე ისაუბრეს. ნოდარ ნათა ის აზრით, გვეშველება თუ ქვეყანას სათანადო ხელისუფლება ეყოლება.**

— დღეს ქართველ საზოგადოებაში ხშირად დაისმის კითხვა: გვეშველება? გვეშველება თუ გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. ქვეყანას კრიზისი ხელისუფლების გამოისობით აქვს, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

ნოდარ ნათაძე საქართველოს ხელისუფლებას სხვა ქვეყნის, კერძოდ კი რუსეთის აგენტურად და ანტიდასავლურ ძალად მიიჩნევს. მისივე თქმით, სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთისაგან იმართება და რუსეთის ხელისუფლების დავალებებს ასრულებს და დასავლური ღირებულებებით აპელირებს.

— საქართველოს ხელისუფლება არის რუსეთის აგენტურა, მაგრამ რუსეთის ნებართვით და რუსეთის მიერ დაშვებულ ფარგლებში სხვასაც ემსახურება. საქართველოს ხელისუფლებას დღემდე არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი, რომელიც დასავლეთისაკენ იქნება მიმართული, — ასეთია ნოდარ ნათაძის დასკვნა.

ნოდარ ნათაძე ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას შექმნილი აქვს ქვეყნის მართვის ტერორისტული ფორმა. შექმნილი აქვს სიკვდილის ბატალიონები.

— ხელისუფლებას დღეს შექმნილი აქვს სიკვდილის ბატალიონები და ადამიანების დამორჩილებას დაშინების გზით ცდილობს. ორივე ვირუსი, რუსეთის აგენტურა და შიში, სიცოცხლესთან შეუთავსებლობას იწვევს, — თქვა მან.

ნოდარ ნათაძის აზრით, ქვეყნის სიცოცხლისუნარისნობისთვის, მისი ტერიტორიული ერთიანობისთვის ყველაზე საშიშის საქართველოს კონფედერაციის გეგმა.

— უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისთვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს საქართველოს კონფედერაციული მოწყობის გეგმა, რომელიც დიდი ხანია არსებობს. ამ გეგმით, ვითომ „დამოუკიდებელი აფხაზეთი", ვითომ „დამოუკიდებელი „სამხრეთ ოსეთის" და დამოუკიდებელი საქართველოსაგან კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნაა. ეს ისეთი სახელმწიფო იქნება, რომელიც მალე იშლება. საქართველოსაგან უნდათ სამი სახელმწიფოს შექმნა. ეს არის რუსეთის გეგმა.

ნათაძის თქმით, ცხინვალის ომის შემდეგ, რუსეთმა დაინახა, რომ იზოლაციაში მოექცა. მსოფლიო რუსეთს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას მსოფლიო არ შეარჩენს. ამიტომ უნდა შექმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაშლადია. კონფედერაცია ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ეს არის დროებითი სახელმწიფო.

ნათაძე ამბობს, რომ არსებულ ვითარებაში ჩვენ გვჭირდება სახელმწიფოს დაცვა. ამიტომ საჭიროა მსოფლიოში ჩატარდეს მძლავრი პიარკამპანია, რომ აფხაზეთი არ არის აფსუა ხალხის ქვეყანა. აფსუებს იმიტომ ეწოდა აფხაზები, რომ აფხაზეთად წოდებულ ქვეყანაში ჩამოსახლდნენ, ზოგი მშიდობიანად, ზოგიც ძალით.

აფსუები ძირითადად შემოვიდნენ ისეთ ქვეყანაში, რომლის ციხეებში ხან რუსები იდგნენ, ხან თურქები, თუმცა იურიდიულად ყოველთვის საქათველოს შემადგენელი ნაწილი იყო.

თარიღი, რომელიც აფსუების შემოსვლას ადასტურებს, ისტორიამ იცის. ეს არის მე-17 საუკუნე. მაგალითად, თარიღი, როდესაც ჩეჩნები მოვიდნენ იმ ტერიტორიაზე, არ არსებობს. ისინი იმ მიწაზე ყოველთვის სახლობდნენ. კეთილი ნების მთავრობას შეუძლია მოელაპარაკოს აფხაზებს.



მეორე საშიშროება, რომელზეც ნოდარ ნათაძე საუბრობს, არის საქართველოს ეკონიმიკის მიზანმიმართული ნგრევა. შეგნებულად ინგრევა სოფლის მეურნეობა, რომ ქართველს პოლიტიკური ნების გამოხატვა არ შეეძლოს. მიწები უცხოელებზე იყიდება, ხოლო ქართველები მასობრივად ემიგრაციაში მიდიან. პარალელურად მასობრივი იმიგრაცია ხდება. საქართველოში შემოდის ყველა, ვისაც არ ეზარება, ჩინელებით დაწყებული.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ციხეებში პირდაპირ ქართველი ახალგაზრდების გენოციდი ხდება, ქართველი ახალგაზრდები ციხეებში მასობრივად ტუბერკულოზით ავადდებიან და იღუპებიან.

— ქართველ ახალგაზრდებს ციხეში ისეთ საკნებში უშვებენ, სადაც ჭლექით დაავადებული პატიმრები იხდიან სასჯელს, ამიტომაა, რომ ქართველი ახალგაზრდები ციხეებში ჭლექით იღუპებიან. მათი გენიციდი ხდება. ეს ის საშიშროებაა, რომელიც ემუქრება ციხეში შესულ ახალგაზრდას. ამ პრობლემის გადადება არ შეიძლება. ეროვნული პარტიების მიზანია ეს აღკვეთონ, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

ნათაძე მიიჩნევს, რომ ქუჩის აქციებს უნდა ვატარებდეთ ყველა კონკრეტულ საკითხზე, ყველა პრობლემაზე. მათ შორის უნდა ჩავატაროთ პრევენციული აქციებიც საკითხზე, რომლის დასმასაც მოველით და ქართველი საზოგადოებისთვისა და ზოგადად, ქვეყნისთვის მიუღებელია.

ნოდარ ნათაძე ფიქრობს, რომ უნდა შევქმნათ ძალა, რომელსაც არ შეეშინდება და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებულად იმოქმედებს, არ შეუშინდება რეპრესიებს.

ასევე ქვეყანაში განსაზღვრული უნდა იყოს ყველა თანამდებობის პირის მართალი იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. უნდა ითქვას, რას აშავებს პრეზიდენტი, ვინ არის პასუხისმგებელი ციხეებში არსებულ ვითარებაზე. ჯალათმა უნდა იცოდეს, რომ ის არის პასუხისმგებელი, მას პასუხი მოეთხოვება და ა.შ. სამწუხაროდ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უფრო მაღალი პროცენტია ისეთი ადამიანებისა, რომლებიც დიდი საფასურის გადახდის შემთხვევაში მზად არიან სხვა თავისი თანამოძმეები ამოწყვიტონ.

ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა აუცილებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ ეროვნულ პარტიებს აქვთ სრული იურიდიული საფუძველი, რომ გააუქმონ ის გადაწყვეტილებები შეთანხმებები, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ხელს აწერს და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოა.

— დღევანდელი ხელისუფლება არალეგიტიმურია, რადგან ის ტოტალური მოვიდა ხელისუფლებაში. დასავლეთის მიერ გამოთვლილია, რომ ქართველების უდიდესი ნაწილი ვერ ღებულობს იმ კალორიებს, რაც სჭირდება ადამიანს. ეს იმიტომ კეთდება, რომ პოლიტიკური აქტივობისთვის საჭირო ენერგია არ გააჩნდეს. ამიტომ ქართველი საზოგადოება ვერ იქნება პასიური იმ კაპიტულაციების მიმართ, რომელსაც ეს ხელისუფლება ხელს აწერს. თუ ქართველები სამიანზე მაინც ვივარგებთ, გვეშველება.

ნოდარ ნათაძისთვის მიუღებელია იმ პარტიებთან გაერთიანება, რომელთა ლიდერები რუსეთში დარბიან. მისი შეფასებით, იმ პარტიების ლიდერები, რომლებიც რუსეთში დარბიან და პუტინს ფეხებს ულოკავენ, მსოფლიოში ქმნიან ილუზიას, თითქოს ქართველებში არის ნაწილი, რომელიც შეეგუა ტერიტორიების დაკარგვას.

თამარ ჩხეიძის თქმით, საერთოდ ნორმალური სახელმწიფო რომ იყოს, ქვეყანაში ნორმალური საზოგადოება და ოპარტიები უნდა არსებობდნენ. პარტიები კი მთავარ საკითხებთან დაკავშირებით უნდა გაერთიანდნენ. მაგალითად, როგორ მოვახდინოთ საქართველოს ტერიტორიების რუსეთისაგან გამოხსნა. როგორ დავაღწიოთ თავი მოჯადოებულ წრეს — როგორ მივაღწიოთ, რომ საქართველო გარედან არ იმართებოდეს. ამ ორ საკითხში პარტიებს შორის ერთობა უნდა იყოს.

# ხელისუფლებამ ადამიანების უფლებების დაცვაზე უნდა იზრუნოს

## პატიმრები საშინელ პირობებში არიან



შორენა გონგლა ე

### ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, ტრადიციულად სააღდგომოდ ხდება პატიმართა შეწყალება, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ჰუმანური აქტები არცთუ იშვიათია, ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად საუბრობენ, რომ ადგილი აქვს შერჩევით სამართალს, თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რომ გაუსაძლისი მდგომარეობაა, ეს არავისთვის დაფარული არ არის. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ კატასტროფულად არის პატიმართა რაოდენობა გაზრდილი. რაც შეეხება შეწყალების აქტს, საერთოდ შეწყალება არის ჰუმანური აქტი და ეს თავისთავად მისასალმებელია, ეს არის პრეზიდენტის კეთილი ნება, რომ მან გამოსცეს შეწყალების აქტი, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს შეწყალებები, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ განახორციელა, არის არასრულყოფილი იმ თვალსაზრისით, რომ ხდება მცირე რაოდენობის შეწყალება და ძირითადად ხდება იმ კატეგორიის პატიმრების შეწყალება, ვისაც არ აქვს ჩალენილი მძიმე დანაშაული. პრაქტიკულად ჩვენს ციხეებში პატიმართა უმეტესობა სწორედ მძიმე დანაშაულისათვის იხდიან სასჯელს, თუმცა, ისინიც არიან ჩვენი საზოგადოების წევრები და მათაც უნდა მიეცეთ კიდევ ერთი შანსი. მე არ მინდა ისე გაიგოს ვინმემ, რომ დამნაშავემ სასჯელი არ უნდა მოიხადოს, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში ციხის ადმინისტრაცია ხელოვნურად ამძიმებს პატიმრებს მდგომარეობას. შეიძლება პატიმარი სასჯელის მოხდის ადგილზე ხასიათდებოდეს დადებითად, მაგრამ ხელოვნურად მოხდეს მისი დახასიათების დამძიმება და ციხის ადმინისტრაციამ გასცეს ცუდი რეკომენდაცია, რაც ხშირ შემთხვევაში ეს ხდება მათ შეწყალებაზე უარის თქმის მიზეზი. სასჯელაღსრლების მინისტრად კალმახელიძის მოსვლის შემდგომ კატასტროფულად გაიზარდა ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა და საერთო ჯამში ციხეებში არსებული ვითარება შეიძლება შეფასდეს საგანგაშოდ.

***— ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ხშირად საუბრობენ ციხეებში შექმნილ უმძიმეს პირობებზე და ასევე ითხოვენ კალმახელიძის თანამდებობიდან გადაყენებას, თუმცა, ისინი ხშირ შემთხვევაში იმ ბრალდებებს ვერ ამყარებენ არგუმენტებით...***

— მე შემიძლია ჩამოგიყალიბოთ, თუ რატომ უნდა გადადგეს სასჯელაღსრულების მინისტრი თანამდებობიდან. პირველ რიგში, მისი მინისტრობის პერიოდში ციხეებში გახშირდა პატიმართა სიკვდილიანობა, უამრავი ავადმყოფი პატიმარია, რომლებიც არ გადაჰყავთ საავადმყოფოებში სამკურნალოდ, სისტემატერად ირღვევა პატიმართა უფლებები, ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმარი არ სარგებლობს ციხის ადმინისტარციის სიმპათიით, მათ ხელოვნურად უქმნიან პრობლემებს, ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პატიმარს უქმნიან ისეთ პირობებს, რომ მას დაემატოს სასჯელი; ეს ყველაფერი კი საკმარისია იმისთვის, რომ სასჯელაღსრულების მინისტრი გადადგეს თანამდებობიდან. სხვათა შორის, სახალხო დამცველმა თავის ანგარიშში საკმაოდ მკაცრად ასახა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. მართალია კალმახელიძის მოადგილე, რომელიც კურირებდა ციხე-კოლონიებს გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და საჭიროა სისტემური ცვლილებების განხორციელება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას აწყობს ის პოლიტიკა, რასაც დღეს ციხეებში ახორციელებს და ეს ყველაფერი არის ძირეულად შესაცვლელი. ასეთი მდგომარეობა სერიოზული კრიტიკის საფუძველია გამხდარი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. რაც შეეხება შეწყალების აქტს, ვფიქრობ, რომ საჭიროა ხელისუფლებამ გამოსცეს ფართომასშტაბიანი ამნისტია, რომელიც შეეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულობებს, თუმცა, მიმაჩნია, რომ ადამიანმა, რომელმაც ჩაიდინა მძიმე დანაშაული, თუ ის სასჯელის მოხდის ადგილას ხასიათდება დადებითად, უნდა მიეცეთ გარკვეული შანსი, რათა დროულად დაუბრუნდეს საზოგადოებას. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება უნდა იყოს უფრო მეტად ჰუმანური, სხვა შემთხვევაში ის შეწყალების აქტები, რასაც ეს ხელისუფება ახორციელებს, არის ზღვაში წვეთი.

***— ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცემის შემთხვევაში ხომ არ დამძიმდება ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება?***

— ნამდვილად არ დამძიმდება ვითარება და თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები რეალურად იყოს დაცული, საჭიროა გამოიცეს ფართომასშტაბიანი ამინისტია. ერთ-ერთმა პრესტიჟულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა და აღმოჩნდა, რომ საქართველო პატიმართა რაოდენობით ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ეს მართლაც სამარცხვინოა, როდესაც ვაშენებთ დემოკრატილ და სამართლებრივ სახელმწიფოს და მისი მთავარი ატრიბუტი, ადამიანის უფლებები არ გვაქვს დაცული. რაც შეეხება უკანონო პატიმრებს, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, სასამართლოები არიან უსიტყვო ნების შემსრულებლები პროკურატურის ორგანოების, ასევე პროცესზე არ არსებობს შეჯიბრებითობის პრინციპი და ხშირ შემთხვევაში რაგინდ არგუმენტირებლი და დასაბუთებული ფაქტები ჰქონდეს ადვოკატს, ხშირად მოსამართლე ამას არ ითვალისწინებს და იხრება ბრალდების მხარისკენ, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკმაოდ ბევრი უკანონო პატიმარია საქართველოში.

***— როგორ გესახებათ ამ მდგომარეობის გამოსწორების გზები?***

— დადგა დრო, თუ ამ ხელისუფლებას უნდა, რომ საერთაშორისო არენაზე საქართველოს შეექმნას დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი, უნდა დაიწყონ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა, ეს არის უმთავრესი და სამართალი არ უნდა იყოს შერჩევითი.

# „მართვეს“ ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

**7 აპრილს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „მართვეს“ ვარსკვლავი გაიხსნება. ანსამბლი უკვე 33 წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში რვა თაობა გამოზარდა. მათი უმრავლესობა დღეს წამყვანი ფოლკლორული ანსამბლების წევრია ან თავად აქვს ჩამოყალიბებული ხალხური სიმღერის ანსამბლი.**

ანსამბლი ჩამოაყალიბა ანზორ ერქომაიშვილმა და იგი დღესაც ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელია. „მართვეს“ შექმნაში დიდი წლილი მიუძღვის ქალბატონ ნათელა ჯილაურს. ანსამბლ „მართვეს“ დირიჟორი და ლოტბარი იყო კოტე მშვიდობაძე. მის შემდეგ ანსამბლს ლოტბარობდა გოგიტა ბუგიანიშვილი, დღეს კი ანსამბლის ლოტბარები არიან მამუკა გულაღაშვილი და ვალერი ქუტიძე. ანსამბლი „მართვე“ ფესტივალ „ზუჩიტ მასკვას“ 7-გზის გრანპრიზიორია. ეს ფესტივალი სულ 8-ჯერ ჩატარდა და „მართვე“ ამ ფესტივალში ერთადერთხელ არ მონაწილეობდა. ანსამბლი „მართვე“ ყოველთვის იყო საქართველოში ჩატარებული შემოდგომის თბილისის გრანპრის მფლობელი და ბოლოს ლაურეატის წოდებაც დაიმსახურა.

„მართვე“ მომღერალი ბავშვების ცნობილი ანსამბლია, მან 1.000-ზე მეტი ბავშვი აზიარა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. ანსამბლი თავისი საკონცერტო მოღვაწეობით, სატელევიზიო გამოსვლებით, რადიოჩანაწერებითა და მოღვაწეობის სხვა ფორმებით წლების მანძილზე პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერას, რითაც მოზარდი თაობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ანსამბლის 33-წლიანი არსებობის მანძილზე „მართვეს“ წევრებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეძენილი მეგობრები ოჯახებით დაიმეგობრეს. მათ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აზიარეს ქართული სიმღერის მადლს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოსა და მის კულტურას. „მართვეს“ 20 წლის საიუბილეო საღამოზე ანსამბლის პირველმა თაობამ 31 მაისი „მართვეს“ დღედ გამოაცხადა.

ანსამბლმა თავისი არსებობის მანძილზე 1.500-ზე მეტი კონცერტი გამართა, მონაწილეობა მიიღო არაერთ ტელე და რადიოგადაცემაში. კინორეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ გადაიღო სპეციალური ფილმი „მღერის მართვე“, კინორეჟისორმა გია მატარაძემ კი შექმნა ფილმი „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე“, რომელშიც „მართვეს“ ბიჭები მონაწილეობენ, როგორც მსახიობები და მომღერლები.

ანსამბლ „მართვეს“ პირველი შეკრება 1978 წლის იანვარში შედგა, რომელსაც მშობლებიც დაესწრნენ. დაიწყო რეპეტიციები. 8 თვის განმავლობაში ანსამბლის პირველი თაობა სწავლობდა სასიმღერო ჩვევებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ ინტონაციებს. გუნდის რეპერტუარი თანდათან გაფართოვდა. 1978 წლის ბოლოს ბავშვებმა უკვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის 30-მდე ხალხური სიმღერა იცოდნენ ზეპირად. ანსამბლის პირველი საკონცერტო ნათლობა ტელევიზიით 1978 წლის 9 მაისს შედგა. კონცერტს ესწრებოდა პოეტი ირაკლი აბაშიძე. მან დალოცა ახალფეხადგმული ანსამბლი და მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. სახელწოდება „მართვე“ კი ბიჭუნათა გუნდს საგარეჯოელი დავით შაქარიშვილის ინიციატივით დაერქვა. პირველი გასტროლები ანსამბლს სომხეთში ჰქონდა, რასაც მოჰყვა გასტროლები ქალაქ დუბნაში გამართულ ფესტივალზე, ვარშავაში, ბერლინში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, თურქეთში, ესპანეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

„მართვეს“ 33 წლის იუბილესთან დაკავშირებით მათი სახელობის განახლებულ ვარსკვლავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გახსნის. რეპეტიციები უკვე დასრულდა და მოლოდინი საკმაოდ დიდია. როგორც კონცერტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე უძველესი ქართული სიმღერები აჟღერდება და მას „მართვეს“ 8 თაობის მომღერალი შეასრულებს. ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში ჩართული არიან „მართვეს“ პირველი და მეორე თაობა, ახლანდელი თაობა, ასევე ანსამბლები „გეორგიკა“, „შავნაბადა“, „ბასიანი“, საპატრიარქოს მგალობელთა გუნდი, მართვეს ყოფილი წევრები — ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის სოლისტი ზურაბ ნინუა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ვანო გალუაშვილი და გოჩა დათუსანი. საღამოზე მსმენელის წინაშე წარდგებიან „მართვეს“ ყოფილი წევრების ბავშვთა ანსამბლები „საგალობელი“ — მაია მიქაბერიძე, „მძლევარი“ — კახა ონაშვილი, „ბიჭები“ — აჩიკო უშვერიძე, რომელიც ეროვნული კაპელის მთავარი დირიჟორიცაა, „პატარა გეორგიკა“ — შალვა ლორთქიფანიძე. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე გაიხსენებენ „მართვეს“ გარდაცვლილ ბიჭებს (მათი რიცხვი 18-ია) და ერთ-ერთ ხელმძღვანელს — კოტე მშვიდობაძეს.

დიდ საკონცერტო დარბაზში ნაჩვენები იქნება ვიდეოკოლაჟი სატელევიზიო ფილმებიდან „მღერის მართვე“ და „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე“. კონცერტს გაუძღვებიან „მართვეს“ პირველი თაობის წარმომადგენელი კახა გურგენიძე და „მართვეს“ ყოფილი წევრი ირაკლი ჩოლოყაშვილი. ანსამბლის საიუბილეო ღონისძიების დამდგმელი რეჟისორია გურანდა იაშვილი, ვიდეოინსტალაცია ნინო ლაპიაშვილს ეკუთვნის, მხატვრობა — თეა თელიას, გუნდის ხელმძღვანელია აჩიკო უშვერიძე, ხოლო აღმასრულებელი პროდიუსერები კახა გურგენიძე და შალვა ლორთქიფანიძე არიან. ღონისძიებას დასწრება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ქირია და ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სოფო აბულაძე.

საკონცერტო პროგრამაშია უძველესი ქართული ხალხური სიმღერები — „ნადური“, „კახური შაირები“, „ოთხი ნანა“, „ოჩეშხვეი“, „ადილა“, „გაზაფხულთან“, „ღვინო კახურო“, „გარე კახური საჭიდაო“ — რამინი, საპატრიარქოს ბიჭები (ბიჭების ბლოკი), „გეორგიკა“ — „ჰარირა“, „შავნაბადა“ — „ზამთარი“, „ბასიანი“ — „ხასანბეგურა“, ხალხური საკრავები, „პატარა მართვე“ — „სვანური ფერხული“ „მართვე“ I და „პატარა მართვე“ — „კუჩხი ბედინერი“, „ჩაკრულო“ — მართვე I, II და დიდების ანსამბლები. საიუბილეო კონცერტს „მართვეს“ ყველა თაობის წევრი „მრავალჟამიერით“ დააგვირგვინებს.

კულტურის სამინისტროში განმარტავენ, რომ 8 აპრილს დიდ საკონცერტო დარბაზში მისული საზოგადოება პომპეზური და საინტერესო პროგრამის მომსწრე გახდება. საიუბილეო კონცერტის დასრულების შემდეგ კი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ანსამბლების „სუხიშვილების“, „ორერას“, „ივერიის“ შემდეგ „მართვეს“ ვარსკვლავიც გაიხსნება.

# ნიკა ცისკარიძეს დიდი თეატრის მთავარ პედაგოგად ნიშნავენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძის კანდიდატურა სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზეც განიხილებოდა. ქართველი მოცეკვავე ახალბედა სამხატვრო ხელმძღვანელმა თეატრის ტრადიციებისა და მემკვიდრეობის კარგ მცოდნედ დაასახელა და მცირე ირონიით ისიც დასძინა, რომ მზად არის, ამის შესახებ ყველგან და ყოველთვის ილაპარაკოს.

— ნიკა ცისკარიძე არაჩვეულებრივი ადამიანია. იმის დასამტკიცებლად, მართალია თუ არა ეს, ჩვენ მას შანსი მივეცით. მიმაჩნია, რომ საერთოდ ადამიანს უნდა მისცე იმის საშუალება, გააკეთოს ის, რაც სურს. სამწუხაროდ, დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი უკვე ხუთი წლით არის დაკავებული. ამ თანამდებობაზე დანიშვნით კი მე არ გავუშვი შანსი ხელიდან და მინდა, ნიკა ცისკარიძის ენერგია და ცოდნა გამოვიყენო, — განუცხადა ჟურნალისტებს სერგეი ფილინმა.

ნიკა ცისკარიძე ქართული საბალეტო სკოლის აღზრდილია, თუმცა, უკვე წლებია, რუსეთში მოღვაწეობს. ის რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი თეატრის წამყვანი ბალერონი იყო, ამავე დროს, დიდი თეატრის პრემიერი და რუსეთის სახალხო არტისტია. რუდოლფ ნურიევის შემდეგ ქართველი ბალერონი იყო პირველი უცხოელი მოცეკვავე, რომელიც პარიზის ოპერაში მიიწვიეს. ქართველ მოცეკვავეს არც რუსულ შოუბიზნესში ივიწყებენ — ნიკა ცისკარიძე საკმაოდ ხშირი სტუმარია სხვადასხვა გასართობ გადაცემაში, არის სხვადასხვა კონკურსის ჟიურის წევრი, ხალასი იუმორისა და კარგი ხასიათების წყალობით ელიტურ წვეულებებსაც აქტიურად სტუმრობს და, თავისი პროფესიის მიუხედავად, თუ საჭირო გახდა, არც პოლიტიკურ გამონათქვამებს ერიდება.

ნიკა ცისკარიძე ხშირად ეხვევა არასასიამოვნო გაუგებრობებსა თუ სკანდალებში. რუსეთში მიმდინარეობდა პროექტი „ცეკვის მეფეები“, რომელშიც მონაწილეობა ნიკა ცისკარიძესაც უნდა მიეღო. ამ პროექტის ფარგლებში ქართველ მოცეკვავეს ჩელიაბინსკის სცენაზე უნდა ეცეკვა, მაგრამ არტისტმა რატომღაც ივანოვოში ჩასვლა არჩია. შოუს ორგანიზატორებმა 500-მდე შეკრებილ ადამიანს გამოუცხადეს, რომ ვარსკვლავი სცენაზე მაღალი სიცხის გამო ვერ გამოვიდა. თუმცა, 200-მდე აღშფოთებულმა ჩელიაბინსკელმა სასწრაფოდ მოითხოვა ბილეთებში გადახდილი არც ისე მცირე თანხის დაბრუნება და უარი თქვეს, ნიკა ცისკარიძის ნაცვლად ამერიკისა და კანადის საბალეტო თეატრის ვარსკვლავების გამოსვლისთვის ეყურებინათ. პროექტის დასრულების შემდეგ ორგანიზატორებმა იმის გარკვევა დაიწყეს, თუ რატომ არ გამართა სინამდვილეში ცისკარიძემ კონცერტი. პროექტის ავტორები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ნიკა ცისკარიძემ ჩელიაბინსკში გამოსვლას ივანოვოში გასტროლები არჩია თუ არა. ამ გაუგებრობამ საქმე სასამართლომდე მიიყვანა და ნიკა ცისკარიძეს პროექტის ორგანიზატორებმა ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს.

ნიკა ცისკარიძე ჟურნალისტებთანაც საკმაოდ გახსნილია. ერთადერთი, რაზეც მას ხმამაღლა საუბარი არ უყვარს, მისი პირადი ცხოვრებაა. მხოლოდ ერთადერთხელ წამოსცდა ბალერონს, რომ 40 წლამდე დაქორწინებას არ აპირებს და ჯერ მის ცხოვრებაში „ის“ არ გამოჩენილა. ნიკა ცისკარიძის ასეთ განცხადებას რუსული პრესა ირონიულად გამოეხმაურა და განმარტა, რომ ქართველ მოცეკვავეს საერთოდ არ აინტერესებს სუსტი სქესის წარმომადგენლები. კულუარული ინფორმაციით ისიც გახდა ცნობილი, რომ ნიკას ორიენტაცია საკმაოდ საეჭვოა. ამის დასტურად კი რუსული პრესა დახურულ წვეულებებზე ნიკა ცისკარიძის მიერ ქალის პარტიების უნიკალურად შესრულებას ასახელებს.

## გასწორება

**გაზეთ „ახალ თაობის“ 7 აპრილის ნომერში გაიპარა უზუსტობა. რამაზ ნიკოლეიშვილის ფოტოსურათის მაგივრად გავიდა გელა ნიკოლაიშვილის ფოტო. ამ შეცდომის გამო ორივეს ბოდიშს ვუხდით.**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ტელ: 899-97-85-46. რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

# ინგლისელი ექსპერტები საქართველოში ჩამოვიდნენ

ეკა ირემაშვილი

ბირმინგემის უნივერსიტეტის — ვისტას ლაბორატორიის ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა. ინგლისელმა ექსპერტებმა ლუსი დინგვოლმა და ადრიან ტურგელმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სფეროს სპეციალისტებისთვის პრეზენტაცია გამართეს თემაზე „ისტორიული გარემოს მონაცემთა ბაზა საქართველოსთვის, შესაძლებლობების კვლევა“.

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განმარტეს, ინგლისელი ექსპერტების ვიზიტის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზისა და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის არსებული სისტემის შეფასება და სისტემის განვითარებისათვის მოთხოვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეისწავლიან კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ბაზის მოდელს და შეიმუშავებენ დეტალურ რეკომენდაციებს სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა ბაზა მომზადდა 2005-2007 წლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდისა და გაეროს მმართველობის რეფორმის პროგრამის დაფინანსებით.

# გრიბოედოვის თეატრში ბავშვთა ნახატები გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში ბავშვთა ნახატების გამოფენა სახელწოდებით „გზა ვარსკვლავებისკენ“ გაიხსნება. 10 აპრილს თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იქნება ნახატების საბავშვო კონკურსში მონაწილეთა 250 ნამუშევარი. კონკურსის ორგანიზატორი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბია“. ღონისძიება იური გაგარინის კოსმოსში გაფრენიდან 50 წლისთავს ეძღვნება.

კონკურსი 2011 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო და 31 მარტს დასრულდა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქების საშუალო სკოლების მოსწავლეები და ბავშვთა ბაღების აღსაზრდელები. კონკურსში მონაწილეობის საშუალება 6-დან 17 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს ჰქონდა.

კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ფინალში 250 მონაწილე გავიდა, კომპეტენტურმა ჟიურიმ კი ყოველი ასაკობრივი ჯგუფიდან სამ-სამი გამარჯვებული შეარჩია და 18 ლაურეატი დაასახელა. ფინალში გასული ყველა კონკურსანტი სამახსოვრო სერტიფიკატსა და კატალოგს მიიღებს.

„ახალ თაობას“ რუსულ კლუბში განუცხადეს:

— ჩვენ ეს კონკურსი თემატურად მივუძღვენით იური გაგარინის კოსმოსში გაფრენის 50 წლის იუბილეს. ასაკიც შეზღუდული გვქონდა — 6-დან 17 წლამდე და კონკურსანტები რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიად დავყავით. საუკეთესო ნამუშევრები გრიბოედოვის თეატრში მხოლოდ ერთი დღით — 10 აპრილს გამოიფინება. ჩვენ გვინდა, სხვადასხვა დღესასწაულზე სხვადასხვა სახის კონკურსი და ბავშვებისთვის საინტერესო ღონისძიებები ჩავატაროთ, რომ მომავალმა თაობებმა კიდევ უფრო ბევრი იცოდნენ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანეს.

გამოფენის გახსნის შემდეგ გრიბოედოვის თეატრში კონკურსანტებისთვის სპექტაკლ „ალისფერი ყვავილის“ პრემიერა შედგება, რომელიც აკსაკოვის იმავე სახელწოდების ზღაპრის მოტივებზეა აგებული. სპექტაკლის დასრულების შემდეგ კი კონკურსის ლაურეატებისა და გამარჯვებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება.

# ეროვნულმა არქივმა ლადო გუდიაშვილის იუბილეს ღია გაკვეთილი მიუძღვნა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა უკვე მოაწყო გამოფენა, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის 115 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამჯერად ეროვნულ არქივში მხატვრის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი ღია გაკვეთილი მოეწყო. ეროვნულ არქივს თბილისის 64-ე საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ. ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებაში მათ ღია გაკვეთილი ჩაუტარდათ საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ეროვნული არქივის თანამშრომლებმა მოსწავლეებს გააცნეს აქ დაცული ფოტოდოკუმენტები, რომლებიც გადაღებულია 1920-1979 წლებში და ასახავს ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენებს, მხატვრის მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში, გუდიაშვილის პარიზში ყოფნისას სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად გადაღებულია ფოტოები XX საუკუნის 20-იან წლებში. 64-ე საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა ასევე ნახეს რეჟისორ შერგილ შონიას მიერ 1974 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ლადო გუდიაშვილი“.

როგორც ეროვნულ არქივში განმარტეს, მათ მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული ღირებულებების განმტკიცებას, მათი თვალსაწიერის გაფართოებას ცნობილი ქართველი მხატვრის პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ.

## აგრესია და იმპულსურობა

ტესტი



1. ადვილად კარგავთ მოთმინებას?
2. დარწმუნებული ხართ, რომ ძალა ლოგიკაზე უფრო პრიორიტეტულია?
3. მიგაჩნიათ, რომ თქვენი შურთ?
4. გიყვართ ხანდახან რაღაცის სხვების ჯინაზე კეთება?
5. ხანდახან უხეშობას იჩენთ?
6. გიყვართ დეტექტივები, საშინელებათა ფილმები?
7. მოგწონთ სხვების დაცინვა, სარკაზმი, გაკრიტიკება?
8. ზოგჯერ სხვებისთვის შეიძლება არასასიამოვნოც იყოთ?
9. თუ ამართლებთ სიკვდილით დასჯას გარკვეულ პირობებში?

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** ადამიანების მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებთ, მიგაჩნიათ, რომ ეს ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა. გწამთ ადამიანის სულიერი სიმდიდრის, სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობის. შეიძლება სხვების აგრესიის ობიექტი გახდეთ.

**4-6 ქულა:** კრიტიკული თვალით აფასებთ როგორც საკუთარ ქცევას, ასევე სხვების მოქმედებას. ცდილობთ, თავი აარიდოთ აგრესიის გამოვლინებას, მაგრამ იმავდროულად არც სხვების აგრესიის სამიზნედ გახდომას ურიგდებით.

**7-9 ქულა:** აგრესიული და იმპულსური ქმედებისადმი აშკარა მიდრეკილებას ამჟღავნებთ. თქვენი ქცევა, გამონათქვამები ხშირად სხვებისათვის ტკივილის მიყენებას ისახავს მიზნად, თუმცა ამას შეიძლება არც აცნობიერებდეთ.

**გ.თ.**

# „შეიცანი იაპონია“ მნახველთა სიმრავლის გამო გაგრძელდა

ეკა ირემაშვილი

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში იაპონიის ტრაგედიისადმი მიძღვნილი გამოფენა „შეიცანი იაპონია“ მნახველთა სიმრავლის გამო ორგანიზატორებმა აპრილის ბოლომდე გააგრძელეს.**

ამ ფაქტთან დაკავშირებით ეროვნულმა მუზეუმმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: „მუზეუმში დაცული იაპონური ხელოვნების იშვიათი ნიმუშების კოლექციას გამოფენაზე იაპონიის ელჩის მეუღლის პირადი კოლექციიდან იმპერატორისა და მისი მეუღლის თოჯინები და კიმონოები შეემატა. ექსპოზიციისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ გადავწყვიტეთ, გამოფენა აპრილის ბოლომდე გაგრძელდეს“.

ექსპოზიცია საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად წარმოადგინა. დამთვალიერებელს პირველად მიეცა საშუალება, ენახა ეროვნულ მუზეუმში დაცული იაპონური ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია იაპონური ხელოვნების განვითარების გვიანდელი პერიოდის XVIII-XX საუკუნეების ამსახველი 150 ნივთი — ტიხრული მინანქრისა და ფაიფურის ჭურჭელი, სპილოს ძვლის ნაკეთობები, საბრძოლო აღჭურვილობა, სარიტუალო დანიშნულების რელიგიური ნივთები, ჩაის ცერემონიალისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, სათამაშოები, სამოსის დეტალები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის იაპონური კოლექციის დიდი ნაწილი კავკასიის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეის, მუზეუმ „მეტეხის“, წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციათა ბაზაზეა შექმნილი, რომელსაც XX საუკუნის შუა წლებიდან კერძო კოლექციონერებისა და სახელმწიფო შესყიდვების გზით შემოსული ექსპონატებიც დაემატა. გამოფენაზე წარმოდგენილი კოლექციის დარგობრივი და ჟანრული მრავალფეროვნება დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს, თვალი გაადევნოს იაპონური ხელოვნების განვითარების გრძელ გზას, დაინახოს მისი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი და განსაკუთრებით შთამბეჭდავი მხატვრული ესთეტიკა.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით გამოფენის პარალელურად ნაჩვენები იყო იაპონური ტრადიციული რიტუალი — შოდო — იაპონური კალიგრაფიის ხატვა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კი სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაციები და საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ იაპონურ კულტურასა და ტრადიციებს.

გამოფენის თანმხლებ საგანმანათლებლო პროგრამას 1.800-მდე სკოლის მოსწავლე დაესწრო, გამოფენა კი სულ 2.900-მდე დამთვალიერებელმა ნახა. ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საზოგადოების მხრიდან დაინტერესების გამო გამოფენის პარალელურად საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში იგეგმება საჯარო ლექციათა ციკლი იაპონური კულტურისა და ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატების შესახებ.

გამოფენა „შეიცანი იაპონია“ ერთგვარ მხარდამჭერ აქციას წარმოადგენს იაპონელი ხალხისადმი. ექსპოზიციის დათვალიერება ყველა მსურველისათვის თავისუფალია.

## იუმორი



ექიმი აიბოლიტი ათი საათი მოუნდა ურთულესი ოპერაციის გაკეთებას. რომ დაამთავრა, წამოიძახა:

— მორჩა, გაფრინდი ახლა, კოლოვ, ოღონდ ფრთხილად იყავი, ფრთა აღარ მოიტეხო.

ცოტა ხნის შემდეგ აიბოლიტმა შუბლზე შემოიკრა ხელი:

— უჰ, შე უმადურო არსებავ...

***

— ქალმა ავტომობილის მართვის შესწავლა თუ დააპირა, მთავარია, წინ არ გადაეღობო.

***

— რა საწყენია, რომ როგორც იქნა, მიდიხართ...

***

დაბადების დღეზე ტორტზე სანთლები აანთეს. ცოტა ხნის შემდეგ იუბილარი დედას ეუბნება:

— მე ვიცი, რისი სუნი აქვს ცეცხლს!

— მართლა? რისი?

— შეტრუსული თმების...

***

ორი ბუზი ჭერზე ზის

— ამ ადამიანებისა ვერაფერი გამიგია, ჭერს გაასწორებენ, შეღებავენ, გაალამაზებენ, შემდეგ ზედ არ დადიან...

***

— შენი პირველი მამაკაცი ვინ იყო?

— ჯერ არ მყოლია.

— შენ რა, ქალწული ხარ?

— არა, გინეკოლოგი.

***

ცოლი ბანკეტზე ქმარს საყვედურობს.

— აი, როგორც ყოველთვის, მეხუთე ჭიქა კონიაკის შემდეგ ნამდვილ პირუტყვს ემსგავსები.

— კი მაგრამ, მე ხომ არ დამილევია.

— სამაგიეროდ, მე დავლიე...

***

ბიჭმა გოგოს წინ დაიჩოქა:

— გამომყვები ცოლად?

— გამოგყვები, ოღონდ ფეხზე ადექი, ჩვენს შარვალს ნუ აჭუჭყიანებ...

***

ტიპს ავტოსადგომიდან მანქანა გამოჰყავს, ნაკაწრი შეამჩნია და დაცვას გამოუძახა.

— ეს რა, ასე იყო?

— არა, ასე იქნება...

**გ.თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 6. ჩეხთა წინაპარი, სახელმწიფოს დამაარსებელი; 7. საზაფხულო ფეხსაცმელი; 10. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 11. ქალაქი აფხაზეთში; 12. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 13. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 16. მგალობელი ჩიტი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ნარკოტიკული ნივთიერება; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

**თარაზულად:** 1. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 3. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე, რომლის საშუალებითაც გემები მდინარის ერთი დონიდან გადაჰყავთ მეორეში; 14. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. გაუთხოვარი ქალიშვილი; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 25. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 26. პოლონელთა წინაპარი, სახელმწიფოს დამაარსებელი; 27. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დაჩი; 2. პონტო; 3. ირისი; 4. ქინთი; 5. ბოკაჩო; 6. ძეფირელი; 8. დეიტერიუმი; 10. ტრუსკავეცი; 11. ბალანჩინი; 14. სონატა; 15. ცუნიგა; 16. კლოზე.

**თარაზულად:** 1. „დამპერი“; 4. ქობულაძე; 7. ჩერნი; 9. „ფიატი“. 12. თოფაძე; 13. ქიმია; 14. სოსისი; 17. „ჰიტაჩი“; 18. ელექტროკარი; 19. მიამიტი; 20. კეხურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სიტე; 2. ოდა; 3. კატალოგი; 4. პო; 5. ბირთვისი; 6. ჯაკო; 7. შარტავა; 10. ბელი; 11. ჩოჩიშვილი; 12. ბალატონი; 13. კოპი; 16. გრივნა; 18. ალბიონი; 19. სკივრი; 21. გუერა; 24. რემბო.

**თარაზულად:** 1. სოპრანო; 3. კანაპე; 8. მითანა; 9. ტაბუ; 14. ფლორა; 15. მოტივი; 17. ლელო; 20. გუშაგო; 22. სილვა; 23. კატარი; 25. ჩაი; 26. ვანი; 27. ჩილე; 28. „მაკლარენი“.

# უსენსაციო ტური და ორხელისუფლებიანობა

### ტორპედო — ზესტაფონი 0:0

<u>ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4.500 მაყურებელი</u>

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ფოფხაძე, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, სეთურიძე, დილმელაშვილი (ქებაძე 81), თარხნიშვილი (დოლიძე 71), გ.დათუნაიშვილი, ვ.კვარაცხელია, საბანაძე (მეგრელაძე 58), ფარულავა.

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი, გ.ონიანი, ხიდეშელი, ელიავა, გორგიაშვილი, ბაბუნაშვილი (ჭანკოტაძე 88), ბენაშვილი (აფციაური 58), ძარია, გრიგალაშვილი, წინამძღვრიშვილი (ს.ლომია 61)

იმერული დერბი ერთგვარი რეპეტიცია იყო ეროვნული თასის მომავალი ნახევარფინალისა, რომლის პირველი მატჩიც 19 აპრილს გაიმართება.

პრინციპულ შეხვედრაში მეტოქე გუნდებს საკმაო პრობლემები შეექმნათ. მასპინძლებმა მათი მთავარი დამრტყმელი ძალის, გიორგი მეგრელაძის მოედანზე თავიდანვე გამოყვანა ვერ შეძლეს. გაცილებით დიდი დანაკლისი ჰქონდათ სტუმრებს, რომლებსაც დისკვალიფიკაციის გამო ჯაბა დვალი, ნიკა გელაშვილი და მურთაზ დაუშვილი აკლდათ. მატჩის პირველი ნახევარი ნაკლებ საინტერესო გამოდგა. სახიფათო მომენტების მხრივაც გუნდები ვერ დაიკვეხნიდნენ. გუნდებმა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ნახევარმომენტები თუ შექმნეს.

მე-2 ტაიმი უფრო თვალსასეირო გამოდგა. 55-ე წუთზე „ზესტაფონმა“ მატჩში ყველაზე რეალური საგოლე მომენტი შექმნა. შოთა ბაბუნაშვილის მიერ ჩაწოდებული სტანდარტულის შემდეგ თეიმურაზ ფარულავა შეცდა და რატი წინამძღვრიშვილს 5 მეტრიდან ისე მიეცა დარტყმის საშუალება, ხელს არავინ უშლიდა. მისი დარტყმა ძალზე სუსტი იყო და პირდაპირ მეკარეს მისცა ხელში.

ორიოდე წუთში ალექსი ბენაშვილმა გაისროლა შორი მანძილიდან ძლიერად, მაგრამ მცირედით უზუსტოდ. ამას ორივე გუნდის დამრიგებლებისაგან შეცვლები მოჰყვა. „ფეროელთა“ თავკაცმა თამაშში თორნიკე აფციაური და საბა ლომია ჩართო. მისმა ვიზავიმ გია გიგატაძემ კი მოედანზე ჯერ მეგრელაძე, ხოლო შემდეგ დოლიძე და ქებაძე შეიყვანა.

თანდათანობით ქუთათურებმა მცირეოდენი უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქის კართან ხიფათის შექმნაც მოახერხეს. 69-ე წუთზე შეტევის მარცხენა ფლანგზე იაქტიურა თორნიკე თარხნიშვილმა, რომელმაც ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მეურვე და ზესტაფონელთა საჯარიმოში მეგრელაძის მისამართით ჩააწოდა, გიას თავური კი მეტოქის კარს მცირედით აცდა, თორემ როინ კვასხვაძეს ძალიან გაუჭირდებოდა მისი განეიტრალება. იქვე მეგრელაძე კვარაცხელიას უწევდა ასისტენტობას, მაგრამ შემტევს მცველებთან ბრძოლაში ბურთის დამორჩილება გაუჭირდა და სიტუაციაც განიმუხტა.

მატჩის ბოლოს ორივე გუნდს მიეცა გოლის გატანის შანსი, თუმცა ამაოდ გაისარჯნენ. თავდაპირველად, ზესტაფონელთა რამდენიმესვლიანი კომბინაციის შემდეგ, გორგიაშვილმა ბურთი ლომიას მისამართით ჩააწოდა. საბა ნახტომში ცდილობდა გატანას, მაგრამ ბურთს ჯეროვნად ვერ მისწვდა და „ტორპედოც“ გადარჩა. 83-ე წუთზე კი დოლიძის ჩაწოდებულ საჯარიმოს ქებაძე გამოეხმაურა დროულად, თუმცა, მისი თავური მცირედით ასცდა „ფეროელთა“ კარს.

მატჩის შემდეგ:

**გია გეგუჩაძე, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

— მოსაგებად ვიყავით განწყობილნი, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მივაღწიეთ. მოედნის საფარი სათანადო მდგომარეობაში არ იყო. შედეგი კი, ვთვლი, რომ სამართლიანი იყო.



**გია გიგატაძე, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:**

— ზედიზედ რამდენიმე რთული მატჩის ჩატარება გვიწევს. ვფიქრობ, გუნდი ნორმალურად გამოიყურებოდა. მატჩიც ლოგიკური შედეგით დასრულდა.

### სპარტაკი (ცხინვალი) — დინამო (თბილისი) 1:3

<u>გორი. ქართლის სტადიონი.</u>

<u>0:1 კოშკაძე (14), 0:2 ტატანაშვილი (28), 0:3 კოშკაძე (33), 1:3 ჯაკობია (81)</u>

**სპარტაკი:** გრიშიკაშვილი, სეფიაშვილი, ტეტუნაშვილი, ფრიდოლინი, მანჩხავა, ჭაფოძე, ჯაკობია, კლოვისი (უგრეხელიძე 46), დეკანოიძე, მ. ბარაბაძე (კილასონია 46), მეტრეველი

**დინამო:** ლორია, ღონღაძე (თომაშვილი 74), ჰომოლა, კაკუბავა, ხმალაძე, ჰაჯიბულიჩი (კვეკვესკირი 82), კოშკაძე, რობერტინიო (თექთურმანიძე 67), არზიანი, კახელიშვილი, ტატანაშვილი

თბილისის „დინამომ“ გორში 33-ე წუთისთვის 3 გოლის გატანა მოასწრო „სპარტაკის“ კარში და დარჩენილი დრო ფორმალობად აქცია. კახა კაჭარავას გუნდმა მორიგი შეხვედრა მოიგო, მინდორზე მთავარი ფიგურა კი ალექსანდრე კოშკაძე გახლდათ, რომელმაც 2 გოლი თავად შეაგდო, ერთი საგოლე პასი გააკეთა.

კოშკაძემ პირველად 15 მეტრიდან გაიტანა, შემდეგ საჯარიმოში ჩააწოდა და ტატანაშვილმა თავით შეაგდო, ხოლო მე-3 ბურთი კონტრშეტევისას გავიდა — ტატანაშვილმა ბურთი კოშკაძეს გააყოლა, რომელიც ერთ მცველს გასცდა და საჯარიმოში შესვლისთანავე ზუსტად დაარტყა.

რაც შეეხება „სპარტაკს“, პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანა ლაშა ჯაკობიამ.

### სიონი (ბოლნისი) — ბაია (ზუგდიდი) 1:0

<u>ბოლნისი. თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი</u>

<u>1:0 ჩირიკაშვილი (73)</u>

**სიონი:** ზუხბაია, კობაური, სვანიძე, დიდავა, გიორგი ოქროპირიძე, ადამაშვილი (თარგამაძე 72), გოგობერიშვილი, ნოზაძე, გ.ი. რეხვიაშვილი (ჩირიკაშვილი 56), ქუცურუა (შალამბერიძე 46), ჯიქია.

**ბაია:** სომხიშვილი, აქუბარდია, აფაქიძე, გამრეკლიძე, რ. ონიანი, სიხარულია, რიგვავა, ვართაგავა, წურწუმია (სამუშია 75), შ.ლომია (ეხვაია 56), ქობალია.

„სიონმა“ ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო და ისევ 1:0. ამ გამარჯვებით ბოლნისელები საკმაოდ დაშორდნენ გასავარდნ ზონას და თითქოს აღარაფერი ემუქრებათ. გოლი კი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა შექმნეს — კობა შალამბერიძის აქტიურობას ირაკლი ჩირიკაშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

### ვიტ ჯორჯია — ოლიმპი 0:1

<u>თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი“</u>

<u>0:1 გეწაძე (63)</u>

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, ადამაძე, ღანიაშვილი, ხურცილავა, კორიფაძე, ჯანელიძე, გურეშიძე, კასრაძე, ვასაძე, ბეჭვაია (ზაქრაძე, 72), ჩიმაკაძე.

**ოლიმპი:** ბედიაშვილი, რეხვიაშვილი, მურველაშვილი, ქემოკლიძე, დობროვოლსკი, რაზმაძე, დ.ბოლქვაძე (ტყემელაძე, 85), გეწაძე, მაისურაძე, ქავთარაძე (გ.ჭელიძე, 58), მოდებაძე (პავლიაშვილი, 77)

„ვიტ ჯორჯიამ“ შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. მეტოქეებს ბევრი ხიფათი ნამდვილად არ შეუქმნია, თუმცა ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხეს — რევაზ გეწაძემ საშუალო დისტანციიდან იხეირა.

„ვიტ ჯორჯიას“ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გიორგი კორიფაძეს პასს ბექა ზაქრაძე ვერ შესწვდა, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა.

### სამტრედია — კოლხეთი 0:0

<u>სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი</u>

**სამტრედია:** ჯინჭარაძე, თ.შალიკაშვილი, ხუმარაშვილი, გოგია, კირთაძე (რუხაია, 69), ცხადაია, ლომაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, ბურჯანაძე (ხვადაგიანი, 60), ალავერდაშვილი, ჩხიკვაძე.

**კოლხეთი:** ლ.ძაგანია, ცხვიტარია, ინწკირველი, მახვილაძე, მეგრელიშვილი, გოგონაია (მდივნიშვილი, 77), გვალია, პ.დათუნაიშვილი (გულუა, 27), სიჭინავა, გავაშელიშვილი, წიქარიშვილი (ჯანაშია, 46)

აუტსაიდერთა მატჩი 3 ქულა ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ, მოხდა ისე, რომ გოლების გატანა ვერ მოახერხეს და ამ მხრივ ორივე წაგებული დარჩა, თუმცა, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად შანსი ჯერ კიდევ შერჩენიათ.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 28 | 17 | 6 | 5 | 52:15 | 57 |
| 2.ოლიმპი | 28 | 17 | 6 | 5 | 41:20 | 57 |
| 3.დინამო | 26 | 14 | 8 | 4 | 38:13 | 50 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 27 | 12 | 3 | 12 | 29:31 | 39 |
| 5.ბაია | 27 | 10 | 5 | 12 | 25:35 | 35 |
| 6.ტორპედო | 28 | 8 | 11 | 9 | 17:17 | 35 |
| 7.სიონი | 28 | 8 | 8 | 12 | 18:33 | 32 |
| 8.კოლხეთი | 28 | 6 | 8 | 14 | 16:37 | 26 |
| 9.სპარტაკი | 28 | 6 | 7 | 15 | 27:35 | 25 |
| 10.სამტრედია | 27 | 6 | 6 | 16 | 23:50 | 24 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 14 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 12, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 11-11, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# დომენტი სიჭინავა — მონიკა ბელუჩი თუ დებილი?

ხელმძღვანელობამ ხსენებული ვალის გასტუმრების დროს ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანო 100.000 ევროზე მეტი თანხით აზარალა. ხსენებულ თემაზე განმარტება, სიჭინავას გარდა სფფ-ს იურისტმა კესო ჩხიკვაძემ და ბუღალტერმა ნარგიზა ჩხიკვაძემ გააკეთეს.

**დომენტი სიჭინავა:**

— რატომ დასჭირდა ფედერაციას ამ ბანკიდან ვალის აღება? ვინ მდიდრდებოდა? სწორედ ამას გვინდა ნათელი მოვფინოთ. ჩვენ ბანკის მაშინდელ დირექტორს ვუთხარით, რომ მზად ვიყავით, სათავო თანხასთან ერთად დარიცხული პროცენტებიც გადაგვეხადა და 399.000 ევრო გაგვესტუმრებინა. 20.000-20.000 ევროიანი ტრანშები გავაკეთეთ. საქმე ისაა, ვისი პირადი ანგარიში იყო ჩადებული გირაოდ. მე კი ვიცი და ალბათ, თქვენც ხვდებით, ვინ არის ეს პიროვნება, მაგრამ ვიდრე სასამართლო ამ საბუთს არ დადებს, არ მინდა ვთქვა. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ვალს ვაღიარებთ, მაგრამ 2009 წლის ივნისიდან 2010 წლამდე ყოველდღე ჯარიმის სახით 266 ევრო რომ გვერიცხებოდა, ამის გადახდა არ გვინდა. ჩვენ ვითხოვთ, რომ როდესაც დაიდება საბუთი, ვისი ანგარიშის გირაოდ აიღეს სესხი, ის ფული, რომლითაც დაგვაჯარიმეს, უკან დაგვიბრუნდეს, ხოლო აღმასრულებლის თანხაც ბანკმა გადაიხადოს. კოკაია რომ იძახის, საქმის ასეთი გახმაურების შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციასთან არც ერთი ბანკი აღარ დაიჭერს ურთიერთობასო, ესაა ბათილი ხელშეკრულება და სანამ ფედერაციის პრეზიდენტი ვიქნები, ბანკისგან მსგავს ვალს აღარ ავიღებთ. ამჟამად, მხოლოდ „საქართველოს ბანკის“ ვალი გვაქვს — კრედიტი 500.000 ევრო ავიღეთ, რათა □„პრივატბანკის“ ვალი გაგვესტუმრებინა.

**კესო ჩხიკვაძე:**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2008 წლის 29 დეკემბერს „ტაობანკთან“ გააფორმა ხელშეკრულება და სესხის სახით 300.000 ევრო აიღო. აღნიშნული სესხი დაფარულია, როდესაც გასული წლის ბოლოს „პრივატბანკმა“ ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშებს ყადაღა დაადო და მისი პარალიზება მოხდა, ბანკის მხრიდან ვლინდებოდა სუბიექტური ქმედება. არსებობს გარკვეული ეჭვი და ამიტომ ეს ხელშეკრულება ბათილად უნდა სცნონ. სასამართლო უახლოეს პერიოდში დაინიშნება.

**ნარგიზა ჩხიკვაძე:**

— 2008 წლის დეკემბერში ფეხბურთის ფედერაციამ 300.000 ევრო აიღო სესხად. ფედერაციას 2009 წლის დასასრულს უნდა გადაეხადა 348.000 ევრო. მივმართეთ ბანკს, რომ სესხის რეფერენსი მოეხდინა და ვუთხარით, როგორი გრაფიკითაც გსურთ, იმ გრაფიკით გადაგიხდიდითო. თუ 2009 წელს ვალის 16 პროცენტი უნდა გადაგვეხადა, ხოლო 2010-ში — 32 პროცენტი, არადა, საქართველოში ნებისმიერ ბანკში სესხის პროცენტი 18 პროცენტს არ აღმატება. ბანკი დაინტერესებული იყო, რომ 92.000 ევრო გადაგვეხადა. ბანკის პროცენტი და საურავები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაიხადა. მოვითხოვეთ გამოძიება, რათა დავადგინოთ, ვინ არის პიროვნება, რომლის პირადი ანგარიშიცაა ჩადებული გირაოში ამ სესხის აღების დროს. იმის გამო, რომ ბევრი საკითხი გაურკვეველი იყო და ჩვენი აზრით, ფედერაციის უფლებები დაირღვა, რაც არ მოგვწონს, სასამართლოს მივმართეთ. საერთო ჯამში, ფედერაციამ „პრივატბანკს“ 430.000 ევრო გადაუხადა, ხოლო აღმასრულებელს — 45.000 ევრო.

სიჭინავამ პასუხი კოკაიას გამონათქვამსაც გასცა:

— მე რეკლამას არ ვიკეთებ, რადგან მონიკა ბელუჩი არ ვარ და „მის საქართველოს“ კონკურსის მოგებას არ ვაპირებ. ის პრობლემა, რომელიც „ვიტ ჯორჯია“-„ზესტაფონის“ თამაში დროს წარმოიშვა, მართლაც არ ვიცოდი. ვკითხე ნოდარ კაკულიას და ლევან ფანიაშვილს, რომლებმაც ყველაფერი დეტალურად მითხრეს. სხვათა შორის, მსაჯებმა ეს ეპიზოდი განიხილეს და დარტყმამდე მეორე სასტვენი მართლაც იყო. იმ მომენტში დათო მინაშვილთან რომ ვიყავი სტუდიაში სტუმრად, მომხდარის შესახებ არ ვიცოდი. რაც შეეხება „ზესტაფონის“ განცხადებას, წერილი გვქონდა შეტანილიო, ეს სიცრუეა. წერილი იყო მხოლოდ ერთ რამეზე, რომ იმ ფეხბურთელებისთვის, ვისი ბარათებიც წაღებული იყო, მომდევნო ტურში თამაშის უფლება მიეცათ. ამბობენ, სიჭინავას „დინამოს“ ჩემპიონობა უნდაო. დამიჯერეთ, ყველაზე მეტად გამეხარდება ჩემი მშობლიური ზუგდიდის გუნდის „მგლების“ ჩემპიონობა, მაგრამ ამას რომ არ ვაკეთებ, ეტყობა ამ მხრიდან ვერ მომიდგნენ. ჩემპიონი ღირსეული გახდება. 4.000 ევროს გადახდაზე უარი არ გვითქვამს. ეს ფული რამდენიმე დღის წინ გავისტუმრეთ. რასაც „ზესტაფონისგან“ ვითხოვთ 15.000 ლარია გადასახდელი გრუიცას ტრანსფერის სანაცვლოდ. რაც შეეხება პროფლიგას, ის არ გაუქმებულა. მაისში კლუბების წარმომადგენლებთან ერთად შევიკრიბებით პროფლიგის ახალი ფორმატის განსახილველად. როგორც იცით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია იქნება. ეს სამომავლოდ პროფლიგას საქმეს გაუადვილებს და არათუ ვალების გასტუმრებაზე იფიქრებს, არამედ პირიქით შემოსავალზე. რაც შეეხება მენთეშაშვილის ტრანსფერს, ფედერაციამ სურვილი გამოთქვა რომ კლუბს დახმარებოდა — ირაკლი ნაკაიძეს საერთოდ არ ევალებოდა ეს საქმე, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, რომ „ზესტაფონს“ დახმარებოდა. ან რა ფედერაციის გენმდივნის საქმეა ორ კლუბს შორის კომერციული ურთიერთობა? თუმცა, რეზო არველაძემ ევა პასკიეს სთხოვა, რომ მენთეშაშვილის საქმე ფიფას წარმოებაში კიდევ ერთხელ მიეღო. კოკაია რომ აცხადებს, არ ვაღიარებ არბიტრაჟს, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის დაფუძნებულიაო, გაჩვენებთ მემორანდუმს არბიტრაჟის შექმნის შესახებ, რომელსაც ხელს „ზესტაფონიც“□ აწერს. თავად ჰქონდა კოკაიას იმ არბიტრაჟის მიმართ პრეტენზია — არ ვიცი ის არბიტრაჟი ვისი არისო. თან ფიფას და უეფას მოთხოვნაა, რომ არბიტრაჟი ფეხბურთის ფედერაციის მიერ იყოს დაფუძნებული. მე არასოდეს მითქვამს, რომ კლუბები ვალდებულნი არიან სოლიდარობის თანხა 5 პროცენტი გადამიხადონ. როდესაც „ჯვაროსნების აკადემიას“ გავაკეთებთ, იქ აღზრდილი ბავშვები ისევ კლუბებს დარჩებათ. ამ პროექტის განხორციელებისას სახელმწიფოს დახმარება მუდმივი ხომ არ იქნება. ამიტომ, კლუბებს სოლიდარობის მიზნით შეუძლიათ დაეხმარონ ამ ინტერნატებს□ — უპასუხა სიჭინავამ კოკაიას.

მისი თქმით, ფეხბურთის ფედერაციაში პირველი პრობლემა მაშინ შეიქმნა, როდესაც საქართველოს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ფრანგი ალენ ჟირესი დაითხოვეს.

— ფედერაციაში პირველი პრობლემა როდის შეიქმნა? ეს ეხება ალენ ჟირესის გაშვებას. მაშინ, ფედერაციის სპონსორი „ფერო“ იყო და ჟირესის ხელფასის თანხა არ გადაიხადა. ალექსანდრე ჩივაძემ „ფეროს“ წერილი გაუგზავნა — დაგვეხმარეთ, ჟირესის ხელფასს ვერ ვიხდით და დაგვაჯარიმებენო. პასუხად მიიღო — დაგეხმარებითო. მერე მეორე წერილი მოვიდა — გაიოზ დარსაძე და კობა ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონის“ მწვრთნელები არიან, თუ ეს ფედერაციას პრობლემას უქმნის, ჩვენ გადახდას შევაჩერებთო. „ფერომ“ თანხა არ გადაიხადა და უეფამ ფედერაცია 108.000 ევროთი დააჯარიმა. არადა, კონტრაქტით თანხა „ფეროს“ გადასახდელი იყო და დღემდე არ გადაუხდია. რატომ არ შემაქვს საქმე სასამართლოში ამ საკითხთან დაკავშირებით? იმიტომ, რომ მას შემდეგ, „ფეროში“ ყველაფერი შეიცვალა. ეს იყო პირველი ფაქტი, მერე იყო კარგი თანხები და ბევრი კრედიტი. მე არავის ვადანაშაულებ, არც კოკაიას და არც სხვა ვინმეს. ნოდარ ახალკაცი რომ არ წასულიყო, „პრივატბანკის“ ვალსაც გადაიხდიდნენ — აიღებდნენ „ოლიმპის“, „დინამოს“, „ზესტაფონის“ და „ვიტ ჯორჯიას“ ევროთასებზე მონაწილეობის თანხებს, რომელსაც მერე დაფარავდნენ. უბრალოდ მოხდა კაზუსი და ახალკაცი გადადგა.

რაც ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, მანეთი არ აგვილია ვალად და მარტო ვალებს ვისტუმრებთ. ამაში სახელმწიფო დაგვეხმარა, ინვესტორები, ბილეთებიდან შემოსული ფულიდან გადავიხადეთ ვალის ნაწილი, ცოტა უეფამ და ფიფამ გვაჩუქეს, — განაცხადა სიჭინავამ.

პრესკონფერენციაზე კოკაიას ინტერვიუსთან დაკავშირებით საკუთარი განმარტებები რევაზ არველაძემაც გააკეთა:

— სტატიაში ბევრი რამ არის შეურაცხმყოფელი და მიუღებელი. თურმე, ფიფასთან და უეფასთან ურთიერთობა არ გვივარგა. ნეტა, ისე გვივარგოდეს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთობა, როგორც ფიფა-უეფასთან. გრუიცას თამაშის უფლება იმიტომ მივეცით, რომ შევედით ფეხბურთელის მდგომარეობაში და პატივი ვეცით. ისე, რამდენი თამაში ჩაატარა მან „ზესტაფონში“? არც ერთი. რაც შეეხება მენთეშაშვილის თემას, კლუბები ხან რაზე ვერ თანხმდებოდნენ, ხან რაზე. 10 დღე დასჭირდა მენთეშაშვილის ტრანსფერს, კლუბები 28 თებერვალს, ღამის 11 საათზე მორიგდნენ. შემდეგ, ფიფამ ეს ტრანსფერი არ დაარეგისტრირა. რეზო შენგელიამ მითხრა, რომ ამ საქმეში ჩავრეულიყავი. ჩვენმა თანამშრომლებმა, მაქსიმალურად გააკეთეს ყველაფერი, რომ მენთეშაშვილის საქმე ხელმეორედ ყოფილიყო წარმოებაში. იმედი გვაქვს, რომ ის ამ სეზონში ითამაშებს, მაგრამ, როგორც ვიცი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აწუხებს.

პრესკონფერენცია სიჭინავას ემოციური გამოსვლით დასრულდა:

— ამომივიდა ყელში. შესაძლოა ბევრს უთქვამს, რომ დებილიაო და შეიძლება დებილი ვარ, მაგრამ სანამ ფედერაციაში ვარ, რამდენიმე მოედანს გავაკეთებ და ბავშვებს 10.000 ბურთს მივცემ. სანამ ვარ, გავაკეთებ, რომ ვინმემ დედა არ შემაგინოს. 45 წელია ასე ვცხოვრობ და დედის გინება ჩემთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა. არ ვიცი, კოკაიას რა არ მოეწონა, შესაძლოა ჩემი „პრიჩოსკა“, რადგან სამი კვირაა „მასტერთან“ არ ვყოფილვარ. წავალ და გავიკრიჭავ. არც ერთ ქვეყანაში არაა ყველა ასაკის ნაკრები. 2.000.000 ლარი, რომელიც გამოყოფილია, ამ ნაკრებებზე იხარჯება. ყველა ბავშვს აქვს თავისი სათამაშო ფორმა და სამედიცინო შემოწმებას გადიან. ყაზახეთში ტურნირზე მიდიოდა 17-წლამდელთა ნაკრები და ერთი ცნობა ვერ მომიტანეს, ბავშვს შარდის ანალიზი ჩაბარებული აქვს თუ არა. მერე დადგებიან კლუბები და გაიძახიან, ფეხბურთელი გავზარდეთო. მათხოვრებივით ველაპარაკები ჩვენს სპონსორებს. „ქართუმ“ ხვალ რომ ყველაფერი შემიჩეროს, რა უნდა ვქნა მერე? უეფას პრეზიდენტის არჩევნებზე რომ ვიყავით მე და არველაძე ჩასული, ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსს ვთხოვდი, ბურთები მოგვეცით-მეთქი, — დასძინა სფფ-ს პრეზიდენტმა.

# ნიკოლოზ ცქიტიშვილი:
## „საბერძნეთი პირველად მესმის, ამ სეზონს უგუნდოდ ჩავამთავრებ“



ცნობა ნიკოლოზ ცქიტიშვილის სალონიკის პაოკ-ში შესაძლო გადაბარგების შესახებ ბერძნულ წყაროებში გაჩნდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის სინამდვილეს არ შეესაბამება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელს ესპანურმა „ლაგუნ არომ“ კონტრაქტი გაუწყვიტა და მოსალოდნელიც იყო, რომ ნიკა რომელიმე სხვა გუნდში გადასულიყო, მაგრამ ხსენებული ფაქტი „სკიტამ“ ინტერვიუში უარყო, რომელიც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი:**

— პირველად მესმის ეს ამბავი. რომც მქონდეს შემოთავაზება, საბერძნეთში სათამაშოდ ალბათ მაინც არ წავიდოდი. მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ ბერძნებმა გამიკეთეს, იქითკენ გახედვაც აღარ მინდა.

***— ეგებ პაოკ-ის ხელმძღვანელები თქვენი ყოფილი გუნდის, „პანიონიოსის“ უფროსობას არ ჰგავს, რომელმაც კონტრაქტის პირობები დაგირღვიათ.***

— არ ვიცი, მაგრამ არაფერი მსმენია ბერძნული კლუბის შესახებ. ამ საკითხზე ჩემთან არავის ულაპარაკია და მენეჯერი თუ ჩემს ზურგს უკან ცდილობს რამეს, ეგ არ ვიცი. მაინტერესებს, რაში დასჭირდათ ამ ვებგვერდებს ცრუ ინფორმაციის გავრცელება. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მაქვს რამდენიმე, ოღონდ არა ბერძნული ვარიანტი, მაგრამ გადავწყვიტე, სეზონის დარჩენილი ნაწილი დასასვენებლად გამოვიყენო.

***— თუკი ვარიანტები გაქვთ, უარს რატომ ამბობთ?***

— სეზონის დასრულებამდე ერთი თვეა დარჩენილი. ასეთი მცირე დროისთვის არ მიღირს ახალ გუნდში, ახალ ქალაქში გადაბარგება. ორი თვეა, ოჯახი არ მინახავს და მირჩევნია, ეს დრო ჩემს ცოლშვილთან, სამშობლოში გავატარო. უახლოეს დღეებში ესპანეთიდან თბილისში ჩამოვალ და მომავალი სეზონის გეგმებს წყნარად, აუჩქარებლად დავაწყობ.

***— „ლაგუნ აროსთან“ კონტრაქტი რატომ გაწყვიტეთ?***

— ასე ჯობდა. ბოლო მატჩებში თითქმის არ მათამაშებდნენ და ორივე მხარის სურვილი იყო, კონტრაქტი გაწყვეტილიყო.

***— და თქვენ ეს გაწყობდათ?***

— თამაში ფაქტობრივად არ მიწევდა და, შესაბამისად, არ მინდოდა იქ გაჩერება. დანარჩენი ფინანსური საკითხები კი კონტრაქტის შესაბამისად გადაწყდა, ანუ მე წაგებაში არ დავრჩენილვარ. ეს საქმე რომ უმტკივნეულოდ მოგვარდა, გუნდის ხელმძღვანელობასთან კარგი დამოკიდებულების დასტურია. „ლაგუნ აროს“ მეპატრონეებთან კარგად ვარ, ეგაა, მწვრთნელი არ მიყურებდა ბოლო დროს კარგი თვალით და გადავწყვიტეთ, ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვეგვარებინა. ასე რომ, ახლა თავისუფალი ვარ და მინდა, დრო ოჯახს დავუთმო.

***— მომავალი კლუბის მოძებნას როდის აპირებთ? ეროვნული ნაკრები 24 ივლისიდან იკრიბება.***

— ნაკრების თამაშებამდე არ ვაპირებ გუნდის მოძებნას. თუ რამე გამოჩნდება, უარს არ ვიტყვი. ეროვნულ ნაკრებში თამაში კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამოაჩინო და გუნდები დააინტერესო. მეც სწორედ ამას ვაპირებ.

***— რას იტყვით ჩვენი ეროვნული ნაკრების შანსებზე?***

— რთული ბრძოლები გველის, მაგრამ უნდა დავამტკიცოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოვხვდით. ეს რომ მოვახერხოთ, კარგად უნდა მოვემზადოთ. ყველა გულითა და მონდომებით უნდა მოეკიდოს საქმეს. შესანიშნავი მოსამზადებელი განრიგი გვაქვს. თორმეტ ამხანაგურ მატჩში ბევრი რამის დახვეწა და სრულყოფა შეიძლება. ეს ფაქტორი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და ევროპის ჩემპიონატს მომზადებულები შევხვდეთ.

***— საქართველოში კარგ დროს ჩამოდიხართ. ფლეი-ოფი აქაც მალე დაიწყება.***

— საქართველოს ჩემპიონატზე კარგი ამბები მომდის, რაც ძალიან მახარებს. საქართველოში ჩამოსვლა იმიტომაც მიხარია, რომ სუპერლიგის გადამწყვეტ თამაშებს დავესწრები. გავიგე, რომ სახელმწიფო გუნდებს ეხმარება და მომავალში კიდევ უფრო აქტიურ მხარდაჭერას აპირებს. ამ დახმარებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. როგორც ვიცი, ასეთი საინტერესო ჩემპიონატი კარგა ხანია არ ჩატარებულა. რამდენიმე დღეში მანდ ვიქნები და ყველაფერს ჩემი თვალით ვნახავ.

# ლიგას მინიმალური ინგლისური ინტრიგა დარჩა

### ჩელსი-მანჩესტერი 0:1

0:1 რუნი (24)

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (მიკელი 79), ივანოვიჩი, ტერი, კოული, რამირესი, ესიენი, ლემპარდი, ჟირკოვი (მალუდა 70), ტორესი, დროგბა (ანელკა 71)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, რაფაელი (ნანი 51), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, კერიკი, პარკი (სმოლინგი 90), გიგზი, რუნი, ერნანდესი (ბერბატოვი 78)

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩებიდან ინტრიგა (თუმცა მცირე) ამ მატჩს შემორჩა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მთელმა შეხვედრამ სწრაფ ტემპსა და დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. დასაწყისში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ ხიფათამდე საქმე არ მისულა.

ძალიან ლამაზი გამოვიდა მატჩის ერთადერთი გოლი. 24-ე წუთზე კერიკმა სტუმართა შეტევის მარცხენა ფლანგზე მყოფი გიგზი გრძელი პასით მოძებნა, უბერებელმა უელსელმა ფეხბურთელმა ბურთის მიღების დროს ბოსინგვა ძალიან იოლად მოატყუა და საჯარიმოში შეჭრილმა კარიდან ათ მეტრში მარტოდმარტო მდგომ რუნის გადააწოდა, ხოლო მანკუნიანელების თავდამსხმელმა ბურთი ჩეხისგან მარცხენა ქვედა კუთხეში გადაგზავნა.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა მეტოქეს შტურმი მოუწყვეს. სწორედ ამ დროს შეიქმნა ვან დერ სარის კართან მთელი 90 წუთის განმავლობაში ყველაზე სახიფათო მომენტი. დროგბა ორ მეტოქეს იოლად გაუმკლავდა და მის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ტორესი ვერ შეწვდა, მაგრამ ვან დერ სარის ნახტომიც უშედეგო გამოდგა და ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა, ხოლო დამატებაზე მოთამაშე ლემპარდის დარტყმის შემდეგ ცარიელი კარის ხაზიდან ბურთი ევრამ გამოიტანა.

ვინაიდან გატანა „ჩელსის“ სჭირდებოდა, გასაკვირი არ ყოფილა, რომ მეორე ტაიმიც ლონდონელთა უპირატესობით დაიწყო. თუმცა, შეხვედრის ბოლომდე ანჩელოტის შეგირდებმა მხოლოდ ერთი რეალურად სახიფათო მომენტის შექმნა შეძლეს — 74-ე წუთზე, ფერნანდო ტორესის უზუსტესი თავურის შემდეგ, ვან დერ სარმა ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და ესპანელს „ჩელსის“ მაისურით პირველი გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** უეინ რუნი

ერთადერთი გოლის ავტორი ამ შეხვედრაში, რომელიც, შესაძლოა, ძალიან ძვირფასი გამოდგეს. გოლის გარდა, შესანიშნავად ირჯებოდა და თანაგუნდელებს „შავი სამუშაოს“ შესრულებითაც ეხმარებოდა.

### ბარსელონა-შახტარი 5:1

1:0 ინიესტა (2), 2:0 ალვეში (34), 3:0 პიკე (53), 3:1 რაკიცკი (59), 4:1 კეიტა (60), 5:1 ხავი (86)

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, პიკე, ბუსკეტსი, ადრიანო (მაქსველი 77), მასკერანო, კეიტა, ხავი, ინიესტა (აფელაი 90), მესი, ვილია (პედრო 70)

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, იშენკო, რაკიცკი, რაცი, მხითარიანი, ჰუბშმანი (ედუარდო 83), დუგლასი, ჟადსონი (ფერნანდინიო 70), ვილიანი (ტეიშეირა 75), ადრიანომ

წყვილში ყველაფერი გარკვეულია და ეს მოსალოდნელიც იყო.

რაც შეეხება გოლებს: ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გაიხსნა. საჯარიმოს სიახლოვეს მყოფმა მესიმ ვილიას მისამართით სცადა გადაცემის გაკეთება და, მართალია, არ გამოუვიდა, მაგრამ უკრაინელი ფეხბურთელისგან ასხლეტილი ბურთი ანდრეს ინიესტასთან მივიდა, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია.

ინიესტას ბრწყინვალე თამაშს მოჰყვა მე-2 გოლიც. 34-ე წუთზე კარიდან მოშორებით მყოფმა ესპანელმა ნახევარმცველმა ძალიან ზუსტი გადაცემით დანიელ ალვეში პიატოვს პირისპირ შეატოვა, ხოლო ბრაზილიელმა სტუმართა კარის დარაჯი ბურთის მიღების დროს მოატყუა და მშვიდად გაიტანა.

უფრო გოლუხვი გამოდგა მეორე ტაიმი.

53-ე წუთზე, კატალონიელებთან მორიგი კუთხურის შემდეგ, კართან ახლოს მდგომმა პიკემ უკან დაიხია, ხავისგანაც ბურთი ზუსტად მიიღო და საჯარიმოს წინა ხაზიდან დარტყმით ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცა.

პიკეს გოლიდან ექვს წუთში მასპინძლებმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს თამაშის წესები დაარღვიეს, რასაც ბურთის მათ საჯარიმოში ჩაწოდება და რაკიცკის გოლი მოჰყვა. არ იყო გასული ერთი წუთი, როდესაც მარჯვენა ფლანგზე გაილაღა მესიმ და საჯარიმოს წინა ხაზთან მდგომ კეიტას გაატანინა.

წერტილი შეხვედრას კაპიტნის სამკლავურით მოთამაშე ხავი ერნანდესმა დაუსვა. მთელი მატჩის განმავლობაში არცთუ დამაჯერებლად მოთამაშე დანი ალვეშმა მეტოქის საჯარიმოში 3 მცველი შემოიხვია გარს და კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ხავის საგოლედ უპასა.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ანდრეს ინიესტა

„ბარსელონის“ ყველა ლიდერმა დიდებულად ითამაშა, მაგრამ, დონეცკელებს თუ ვინმემ განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა, ეს ინიესტა იყო, რომელმაც არა მარტო სწრაფი გოლით „დაამთავრა“ საქმე, არამედ მთელი 90 წუთის მანძილზე თამაშში იყო და პარტნიორებსაც ამარაგებდა საგოლე პასებით.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-შახტარი | 5:1 |
| ჩელსი-მანჩესტერი | 0:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მოზერველი-დანდი | 2:1 |
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 3:1 |
| სტ.მირენი-აბერდინი | 3:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 29 | 22 | 2 | 5 | 64:27 | 68 |
| 2.სელტიკი | 29 | 22 | 4 | 3 | 64:18 | 70 |
| 3.ჰართსი | 31 | 18 | 5 | 8 | 46:30 | 59 |
| 4.დანდი | 31 | 13 | 10 | 8 | 42:37 | 49 |
| 5.კილმანროკი | 31 | 13 | 7 | 11 | 46:36 | 46 |
| 6.მოზერველი | 32 | 13 | 4 | 15 | 36:43 | 43 |
| 7.ინვერნესი | 30 | 9 | 9 | 12 | 39:38 | 36 |
| 8.სტ.ჯონსონი | 31 | 8 | 10 | 13 | 18:36 | 34 |
| 9.ჰიბერნიანი | 31 | 9 | 6 | 16 | 34:50 | 33 |
| 10.აბერდინი | 31 | 9 | 4 | 18 | 34:52 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 31 | 7 | 7 | 17 | 30:51 | 28 |
| 12.ჰამილტონი | 31 | 2 | 10 | 19 | 18:53 | 16 |

**ბელგია. თასი**

| | |
|---|---|
| სერკლი-ვესტერლო | 3:3 |
| სტანდარდი-გენტი | 4:2 |

**თურქეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-გაზიანთეპი | 3:0 |

**პოლონეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ლეჩნა-ლეგია | 0:1 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-ნიუ ინგლენდი | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ვაშინგტონი | 136:112 |
| ტორონტო-კლივლენდი | 96:104 |
| ფილადელფია-ნიუ იორკი | 92:97 |
| შარლოტი-ორლანდო | 102:111(ოტ) |
| დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 116:109 |
| მაიამი-მილუოკი | 85:90 |
| მინესოტა-ფინიქსი | 98:018 |
| ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი | 101:93 |
| ოკლაჰომა-კლიპერსი | 112:108 |
| დალასი-დენვერი | 96:104 |
| სან ანტონიო-საკრამენტო | 124:92 |
| გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 95:87 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ჰიუსტონი. თიხა**

| | |
|---|---|
| დიმიტროვი-გაბაშვილი | 6:7;3:6 |
| კარლოვიჩი-კუნიცინი | 6:4;6:1 |
| კიურეი-სვიტინგი | 6:3;6:7;3:6 |
| ისნერი-სებალოსი | 7:5;6:3 |

**ვტა. მაიბელა. თიხა**

| | |
|---|---|
| აზარენკო-პარა სანტონია | 6:2;6:3 |
| ერანი-ბარუა | 6:1;6:2 |
| საფინა-პირონკოვა | 6:3;6:4 |
| სავაი-კუზნეცოვა | 7:6;1:6;2:6 |

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-ფალკონი | 6:1;6:1 |
| კირილენკო-ტატიშვილი | 7:5;5:7;3:6 |
| სტოსური-მაიერი | 6:1;6:2 |
| იანკოვიჩი-პაჩეკი | 6:2;6:3 |
| მატეკი-ვესნინა | 4:6;6:7 |
| ბარტოლი-ლისიცკი | 2:6;3:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-აილენდერსი | 3:2 |
| ვაშინგტონი-ფლორიდა | 5:2 |
| კაროლინა-დეტროიტი | 3:0 |
| ნიუ ჯერსი-ტორონტო | 4:2 |
| ჩიკაგო-სენტ ლუისი | 4:3(ოტ) |
| კალგარი-ედმონტონი | 6:1 |
| ანაჰაიმი-სან ხოსე | 6:2 |
| ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 2:2(ოტ) |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



### გიორგი (კუკულიკა) დანგაძის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა, რაც შენმა პატარა გულმა შეწყვიტა ფეთქვა. გიორგი, რა დიდი სიყვარულის ტარება შეეძლო მაგ პატარა გულს! შემოჯდებოდი ხოლმე შენი სახლის ფანჯრის რაფაზე და ყოველ ნაცნობს ლამაზ სალამსა და დალოცვას ატანდი... ახლა ჩვენ გინთებთ სანთელს, სამოთხისკენ გაფრენილო უმანკო სულო. ყველაზე დიდი ტკივილი შენმა დედამ, ნათიამ განიცადა და მდუღარე ცრემლმა იწვიმა მისი ნათელი ცისფერი თვალებიდან. ბოლოს ხომ მას ჩაეკარი გულში და უთხარი: „დედა, მიყვარხარ“. ჭეშმარიტად, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი, ამაღლებული და წმინდაა დედაშვილური სიყვარული. ამიტომაცაა ასე მწარე განშორება. იქ ნათელი დაგადგეს!

გაზაფხულის ლამაზი ყვავილები მიგიძღვიან სამოთხისკენ, მტრედები ღუღუნებენ, ანგელოზნი გალობენ, იესო გიხუტებს გულში. მშვიდობით!

*შენი მზია მასწავლებელი*



თბილისის 201-ე საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები და მშობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კლასის ხელმძღვანელის

### მაია დაბრუნდაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მეუღლესა და მის შვილს, ამავე კლასის მოსწავლეს გიორგი ფოლადაშვილს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ჩახასჯევი 8 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00 კალათბურთი**. შსს-არმია **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. "**ფარი**" (**12**) **00.00** წითელი ზონა **01.00** ქართ. ფ. "**ზღვარზე**" **02.50** მხ. ფილმი "**დრაკულა**" (**18**) (გ. ოლდმენი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი "**სოციალური მკვლელობა**" **01.00** მხ. ფილმი "**ორი დღე ველზე**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმღყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.45** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი "**თვითმფრინავი**" (**18**) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**ორნახევარი კაცი**" **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ."**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **23.00** მზის კინოკლუბი **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** ღამის შოუ **00.00** ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე **00.30** მხ. ფილმი "**ცეცხლოვანი ველი**" (**15**) (შ. ტერონი) (სუბტ.) **02.20** "ფლეიბოი იმედზე" **03.10** მხ.ფ."**ილაის წიგნი**" (**15**) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **05.25** მხ. ფილმი "**უცხოები**" (**18**) (ლ. ტაილერი) **07.15** სერ. "**ბოშები**"

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** სერ. "**ადვოკატი**" **10.30** დოკ. ფილმი "ტურიზმი" **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50** სერ. "**სენიორა პრეზიდენტი**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სასტუმრო**" **19.00** მუსიკა **19.30** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **23.00** სერ. "**ელისაბედი**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ქართული მხედრობა პოლონეთში" **11.15** დიდმარხვის მეხუთე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**სინათლე ჩვენს ფანჯრებში**" **13.50** კონცერტი – "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**ჩემი ქალაქის ვარსკვლავი**" **16.50** დოკ.ფ."გადადექი ფაშა" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**ჩემი მეგობარი ნოდარი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 აპრილი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,704

ევრო — 2,4135

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714

რუსული რუბლი — 0,06

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-17, ღამით — 7-12

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17-22, ღამით — 11-13,

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-15, ღამით — 1-8

**ამინდის პროგნოზი 8 აპრილისთვის**







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

,,სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## დომენტი სიჭინავა — მონიკა ბელუჩი თუ დებილი?



გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ ღიად განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მიმართ არავითარი პრეტენზია არ აქვს და არც უპირისპირდება.

მისი ნათქვამიდან გაირკვა, რომ მასმედიასთან შეხვედრა იმიტომ გადაწყვიტა, რათა „ზესტაფონის" პრეზიდენტის ილია კოკაიას მიერ წაყენებულ პრეტენზიებზე გაეცა პასუხი.

საქმე ეხება კოკაიას ინტერვიუს, რომელიც მან გაზეთ „მსოფლიო სპორტს" მისცა. სიჭინავას ხსენებული ინტერვიუ ფურცლებზე ჰქონდა ამობეჭდილი და ამის მიხედვით ხელმძღვანელობდა.

**დომენტი სიჭინავა:**

— მე რაიმე პრეტენზიას ვუყენებ „ზესტაფონს"? რაიმეთი დაიჩაგრა „ზესტაფონი"? ყველგან ვამბობ, რომ ეს ერთადერთი კლუბია, რომელიც ყველაფრითაა უზრუნველყოფილი. ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის დროსაც ვთქვი, რომ ყველაზე კარგად საქმეს „ზესტაფონი" აკეთებს. „ზესტაფონთან" არაა დაპირისპირება, საქმეა ილია კოკაიას კომენტარზე, რომელიც აცხადებს, რომ ქაოსია ქართულ ფეხბურთშიო. კაცი ფიქრობს, რომ მხოლოდ მისი იურისტები არიან იურისტები და სხვას არ აქვს განათლება. ფედერაციაში ქაოსი არაა, ქაოსი იყო. ამაზე მეტი ქაოსი რაა, როდესაც მილიონები გაქვს და წელიწადში კიდევ რამდენიმე სესხს იღებ. „ზესტაფონს" არ ვუპირისპირდები — ამ ქალაქში ყოველთვის სიამოვნებით ჩავდიოდი და კიდევ ჩავალ თუ დამპატიჟებენ. მაშინ ფედერაციიდან მთელი ჯგუფი ვიყავით წასულები და სტადიონზე ადგილები არ მოგვცეს. თქვენ რომ ფედერაციაში მოხვიდეთ და კარი მოგიჯახუნოთ, მეორედ ხომ აღარ მოხვალთ. არავის ვებრძვი. ჟურნალისტებთან შეხვედრა იმიტომ მინდოდა, რათა მოვაწოდო კოკაიას ინფორმაცია, რომ დაპირისპირება არაა.

ყველაზე ვრცელი განხილვის საგანი კი უმცროსი ნოდარ ახალკაცის დროინდელი სფფ-ს მიერ 2008 წლის 29 დეკემბერს „პრივატბანკიდან" 300.000 ევროს ოდენობით აღებული სესხი გახდა. კოკაიამ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფედერაციის ამჟამინდელმა


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 8 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მორიელი** — სახლში სიახლეა, ავეჯს გამოცვლით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მისი მოსმენა მოგიწევთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, თავს მშვიდად იგრძნობთ. **თევზები** — დასვენება გჭირდებათ, თავს მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 4 აპრილიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 2**

# ფრანკო

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## ნიკა ცისკარიძეს დიდი თეატრის მთავარ პედაგოგად ნიშნავენ


ეკა ირემაშვილი




რუსეთში მოღვაწე ქართველ ბალერონს ნიკა ცისკარიძეს რუსეთის დიდი თეატრის ბალეტის მთავარ პედაგოგად დანიშნავენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს დიდი თეატრის ახლახან დანიშნულმა სამხატვრო ხელმძღვანელმა სერგეი ფილინმა განუცხადა.

სანამ სერგეი ფილინი ამ სიახლეს მასმედიის წარმომადგენლებს გააცნობდა, ნიკა ცისკარი-


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 2. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედროების ჯგუფი; 3. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 4. წნევისა და მექანიკური ძაბვის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 6. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 8. სახელმწიფო ევროპაში; 10. უმოტორო საფრენი აპარატი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 16. წყლის საქაჩი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 1. იაპონიის იმპერატორი; 4. განაპირა კუთხეების მმართველი ძველად საქართველოში; 7. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 9. პოლონელი კინორეჟისორი; 12. ავსტრალიური ქოჩრიანი თუთიყუში; 13. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა; 14. იტალიელი მოდელიორი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 18. დიდი, მდიდრული ბინა; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური ხე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

